

მწყმესი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.
მზოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრფთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოველით ჩემდა ყოველი მამურალნი და ტვირთ-მამიენი და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 23—24

1883—1904

15—31 დეკემბერი




გარდაიცვალა 2 ივნისს 1904 წ.
(ნეკროლოგი იხ. ამა მიმდინარე წლის „მწყემსი“-ს № 15-30).

რედაქციისაგან.

ჩვენ გამოცემთა ზოგიერთი ხელის მომწერნი დღემდის კიდევ ვერ მიმხედარან, რომ გავთვის ანუ ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა წარადგინონ ხელმოსაწერი ფულები. წარსული წლის ფულს გამოგზავნიან და მომავალი წლის საფასეს კი წლის დასრულებისას მოგართმევეთ, იწერებინან! ვსთხოვთ ყოველ ხელის მომწერთ გავთვის დაბარებისათანავე წარმოადგინონ ჭკთელი ჟურნალის ფასი, ან რედაქციისაგან დანიშნულ დროს ნაწილ-ნაწილად.

† ესტატე ბესარაიანს-მე დამბაშაჲ.



მის კანის წერილი მღვდლის ცხოვრების და მსახურების შესახებ.*)

1) ეკლესიით უკვე თავთა თქვენთა და და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა ვემ თქვენ სულმან წმინდამან დაგადგინა მოღღე: უღ და მწყსად ეკლესიის უფლისა ღმრთისა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა (საქ. მოც. 20, 28).

2) მწყსილით თქვენშორის სამწყსოსა მას ღმრთისასა; იღვწილით ნუ იძულებით, ნუცა საძაგელის შეძინებით, არამედ გულს-მოდგინედ (ა. კით. პეტ. თ. 5, 2 მ.)

3) და შენ ძეო კაცისაო! მე დაგადგინე შენ მეცველად სახლსა ისრაილისასა და შენ გაიგონებ პირისაგან ჩემისა სიტყვას (იებ. თ. 33, მ. 7).

4) არამედ სახე ექმნენ მორწმუნეთა მათ სიტყვითა, სვლითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა (ა. ტიმ. თ. 4, მ. 12).

ძლიერ ცუდი დრო დადგა! დაბერა სხვა ქარიშხალმა, რომელმაც ლამის მთლად შედარყო ჩვენი არსება და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას და ამოს-თხაროს ჩვენ გულში სარწმუნოება, ღვთის მსახურება, ეკლესიისა და მის მსახურთა სიყვარული. ეს ქარიშხალი თან და თან ძლიერდება, თან და თან მეტს მსხვერპლს იწირავს; დაპქროლავს სი ყველგან, სთესავს ღვთის საწინააღმდეგო საქმეს, ძირს უთხრის სამწყსოთა რწმენა-შეხედულებას, აქარწყლებს ხალხის თვალში ყოველივე მას, რასაც ვეტრფოდით, რაც გვანხნევებ გვამაგრებდა ამ ქვეყნად და იმ ქვეყნისკენაც იმედით გვახედებდა. ნუ თუ ეს სახუმრო საქმეა? ნუ თუ ეს მოვლენა ღირსი არ არის ყურადღებისა და წინააღმდეგობისა? მერც და ვინ უნდა იყოს მოწინააღმდეგე ასეთი აზრების გავრცელება-თვისისა ხალხში, ვინ უნდა იყოს პირველად მცველად და დარაჯად სარწმუნოებისა, ეკლესიისა და საღმრთო საქმისა? რასაკვირველია მღვდელნი, სულიერნი მამანი, რომელთაც საღმრთო წერილი

ავალებს სამწყსოს დამწყსავს გულსმოდგინებით. მაგრამ ესენი, სამუხებაროდ, ყურსაც არ უგდებენ,*) არაფერს ზომას და მეცადინეობას არ ღებულობენ, რომ გააქარწყლონ თავი მონარტულიების მოქმედება, რათა არღარა ვიყვნენ ყრმა ჩჩქოდ, ღვლავალტებილ ლ მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღვრებისას: სივერაგითა კაცთათა და ზაკულებითა მანქანებისა მის მიმართ საცთურებისა, არამედ ქეშმარტი-ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტიე“ (ფეს. თ. 4, 14, 15 მ.),

ასეთი გულგრილობით და დაუდევრობით სარგებლობენ ბოროტნი სულნი და იფქვლის ნაცვლად ღვარძლს სთესვენ და აწინარად მღვდელნი ხელის შემწყობნი გამოდიან ზემოხსენებულ თავნი მიმართულებისა. სულიერნო მამანო! სხანს თქვენ დავიწყებული გაქვთ თქვენი ჰორდაბირი მოვალეობა— დანიშნულება, ყოველივე ის, რასაც მოითხოვს საღმრთო წერილი ეკლესიის მსახურთაგან. აბა დაფიქრდით, რას მოასწავებს ჩამოვიდებული თქვენ გულზე ჯვარი, აბა დააკვირდით, რა დარიგებაა ამოქრილი თქვენდა სახელმძღვანელოდ იმ ჯვარზედ და მერე ყოველივე ეს შეუწონ-მეუფარდეთ თქვენ ყოველცხოვრებას, და ნახავთ თუ თვითონ თქვენ არ შეგეშინდეთ თქვენი თავისა და ცხოვრებისა; გაიგებთ, რომ ძლიერ დაშორებულნი ხართ იმ სიტყვა-ღარიგებას, რაც მუდამ გემღვევისთ ჯვარზე ცქერით და მასზედ წარწერის აღმოკითხვით; (სახედ ექმენ მორწმუნეთა მათ, სიტყვითა, სვლითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ „სხსედ ექმენ—სიტყვათა“. ამით თქვენ, მოძღვარნო, გვეალებათ რწმენებულ თქვენდამი სამწყსოს განუშორებოთ ქრისტიეს მოძღვრება-მცნებანი და ცდილობდეთ თქვენი კარგი სწავლა-მოძღვრებით, დაკვირვებული და საბუთიანი მსჯელობით არა მორწმუნეთა გულშიაც კი გააჩინოთ ნაწერწყალი სარწმუნოებისა და ეს ნაწერწყალი თან და თან აქციოთ ნაკვერცხლად, რომელსაც შეეძლოს

*) სამწყსოდ ვრის კაცისაგან ამისთანა წერალები მხილება, მაგრამ რა გაქეწება? დღევანდელმა უკუღმართმა დრომ უოველივე გადააგვარა. იძულებული ვართ ერის კაცებისაგანც შევიდეთ დარიგება და მხილება!.. ამხილუ ბრძენს რათა შეგაეჯეროს შენ, ბრძანებს საღმრთო წერილი.

*) მართალია აქა-იქ დაიწყეს თავინთ პიროვნების დაცვა გაზეთში, მაგრამ მართა ესეთი დაცვა, თავის მართლება არ კმარა. საჭიროა თვით ცხოვრებით დამტკიცება მისი, რომ მღვდელნი მეტი ზარგი არ არიან ხალხისათვის. არა შემაწუხებლად და გასატყვევლად არიან დადგენილნი, არამედ იგინი ხელს უწყობენ ხალხის წნეობრივად განვითარებას და უზენებუნგზას კეთილდღეობისადმი.

რედ.

ავტ.



ბევრი სხვის გამოზობაც. ერთი სიტყვით, მღვდელი უნდა იყოს მქადაგებელი კარგი, იგი მუდამ მოზნადებულად უნდა იყოს ყოველ წირვა-ლოცვაზე და მრევლს ქაჩრავდეს საღმრთო წერილის ძალას. მეტი თქმის ვინ იწყებს ამით თავს, მაშინა! მხოლოდ ის, ვისაც მთავრობისგან აქვს დაჯილდოებული აუცილებლად ქადაგების თქმა, როგორც ეს შემოღებულია ქალაქებში. გარეშე ამისა ერთობ ძვირად არიან მოყვარულნი ხალხის დამოძღვრა-დარიგებისა.*) თავს იმართლებენ იმითი, რომ არაფერი გამოვა ქადაგებიდანაო (ეს ერთთავად მართალია და კარგადაც სჩადიან, რომ არ ქადაგებენ. თქმა და არ ქმნა, ე. ი. მისი შენგან აუსრულებლობა, რასაც სხვას ავლენ, ერთობ ცუდია და უსამართლომაც არის. აღბად ამას გრძნობენ ზოგნი, რომ სრულიად მექანიკურად ასრულებენ ღვთის მსახურებას და არაფერ გრძნობისა და აზრის გამაცხოველებელ სიტყვას არ ხარჯავენ). «იესო ქრისტე ჩვენზე უფრო კარგი მქადაგებელი და მასწავლებელი იყო, მაგრამ ვის ესმოდა მისიაო» ზღაპრული ამბები. ამის მოქმედი ავიწყლებათ, რომ ერთი სულის შეგვრებით არა საქმე არ გაკეთდება, მით უმეტესად არ შეიძლება ორჯგულსაზღერ ქადაგების თქმით მორჯულდეს უკუღმართი აღმანი, შეიცვალოს თვისი ცოდვილი მიდრეკილება-ლტოლილება და ზნეობრივად განსეტყვადეს, განვითარდეს. განა ქრისტე ღმერთმა ცოტა საქმე გაკეთა თვისი სწავლა-მოდგვრებით? განა მან არ განაახლა ცოდვაში ჩაფლული კაცთა ბუნება ახალის და ქვეშაირის სწავლა-ქადაგებითა? განა მრუდვ გზით მავლანი ცოტანი დააყენა სწორს და უტყუარ გზაზე, განა ცოტანი ჰყავდა მას მორწმუნე-მიმდევარზე? მაშ ტყუილი საბუთი და თვისი მართლებია! თქვენს ქადაგებას, როგორც ახსნას იმისას, რაც საყდარში გვემის და რაიც მოიხიბვება ღვთისაგან ამ ქვეყნად კეთილდღეობისა და იმ ქვეყნად სასუფეველის დამკვიდრებისათვის, ჩემის ფიქრით, ღიდი მნიშვნელობა აქვს. აბა დააკვირდით უბრალო ხალხს.

*) ქადაგებას ვილა სჩივად, ნეტავი ზოგიერთნი წირვა-ლოცვას ასრულებდნენ წესიერად, დინჯათ, როგორც შეეფერება საღმრთო მოქმედებას, გარკვევით და გრძობით კიდულდებდნენ ეკლესიაში წასაკითხავს. უქადაგობას აბატობდა კაცი, მაგრამ ის ამგვრეულად, ანჭარებით, შეუსაბამო კეთილი კობხობებით უსენი საღმრთო-საკეკლესიო წიგნებს, რომ ღული გვესება უსამოვნებით. ავტ.

იმ დროს, როცა მღვდელი რიგინად და მოხდენილად ქადაგებს, როგორ გულმოდგინეთ უგდებს მას იგი (ხალხი) ყურს და როცა საგრძნობელი რაიმე სიტყვები ესმის, მოწონების ნიშნად გულზე იბრავუნებენ ხელებს და ქადაგების შემდეგ მილომბოა უსიან მქადაგებელს: «ღმერთმა გაცოცხლა მამაო, მაღლობელი ვართ დარიგებისათვის.» ამის გამოგონ — მოწამე ჩემს გარდა სხვაც ბევრი იქნება, რასაკვირველია. მართალია, ხანდისხან ასეთი სიტყვებიც კი გამიგონია ზოგიერთ მსმენელთაგან: «გვ ყველაფერი კარგი, მაგრამ თვითონ თქვენ რომ ვერ ასრულებთ მათს, სხვას რაღას ეუბნებიან?» მაგრამ ასეთმა სიტყვებმა არ უნდა შეაშინოს ქვეშაირი მოძღვარი, არამედ უნდა ახსოვდეს და იცოდეს, რომ ხალხი მას კრტიკულის თვალთ უყურებს და მღვდლის სიტყვას ზღაპრის ერომანეთს უპირდაპირებს. ამისათვის უფრო ფრთხილად უნდა იყოს ის თავისი მოქმედება — ცხოვრებაში. «გველსა ხერვლით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარაო» — ამბობს უკვდავი შოთა და აქედან მიხედით სიტყვა-ქადაგების ძალა-მნიშვნელობას! «სხედ ექმენ სჯდათა» — ესე იგი ცხოვრებაა. — ეს ნიშნავს მას, რომ მღვდელმსახური უნდა იყოს მაგალითი სხვისათვის თავისი კეთილი და პატიოსნური ყოფა-ქცევით, ცხოვრებით, ის უნდა იყოს «მარბილი ქვეყნისა», «ნათლი სოფლისა». პირველად იგი უნდა იყოს აღმასრულებელი მისა, რასაც ასწავებს, რასაც იგი ემსახურება, ე. ი. ქრისტიანული სარწმუნოება-ცხოვრების. პირველად იგი უნდა იყოს თანაზიარ ქრისტეს ღვაწლისა; მას მუდამ უნდა ახსოვდეს ჯვარი ქრისტესი და მით სძლიოს ყოველივე შემოდგომილი გაქვირება-დაბრკოლება. გარან რის გზედეთ? ცხოვრება და ყოფა-ქცევა მრავალთა მღვდელთა არაკეთილ მისამაძავი არის, არამედ ღირსი ვაჟიცხვისა: ისინი (მღვდლებნი) არიან მხოლოდ გარეგნულად აღმასრულებელნი საეკლესიო წესისა და ჩვეულებისა და თვინიერ ამისა ისინი ნაკლებად განირჩევიან თავიანთ სულიერ შეილთაგან.

ნუ თუ არ გეშინია საშინელისა მის დღისა, ოდეს მოგთხოვება პასუხი სამწყსოს რიგინად დაუმწყსელობაზე? ნუ დაიფიქვბ, მამაო, რომ «ვერ ხელეწივების ქალაქსა დაფარად მთასა ზედა დაშენებულესა». ნუ იფიქრებ რომ შენმა მაგალითმა სხვანზე არ იმოქმედოს ცუდათ, თუ კარგათ, რომ შენი



ცული ყოფა-ქცევა შეუნიშნავი დარჩეს ხალხისაგან! ნულ დაგვიწყდება, რომ შენ ის წერტილი ხარ, რომლისაც ყველანი ძალაუნებურად მისწვრიბიან, თვალყურს აღევნებენ და, იცოდენ, რომ რაც ნოხოსან-სერთუქოსანს ებატევა იმას შენ, როგორც ქრისტეს მოციქულს და ქეშმარიტების შქადაგებელს და ღვთისა და კაცთა შორის შუამდგომელს, არ გაბატევენ! ნულ განიშორებ გონებიდგან, მწყემსო და მოძღვარო, მცნებასა მოციქულთასა: «ეგრძაღენით უკვე თავთა ოქვენთაღ ცოველსავე სამწყსოსა, რომელსა ევე თქვენ სულმან წმიდამან დაგადგინა მოღვწედ ეკლესიისა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა». «ეგრედ ბრწყინედინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნეს საქმენი თქვენი კეთილნი და აღიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა» — ბრძანებს მაცხოვარი ჩვენი ქრისტე. ეცადე, მამაო, რომ შენი კეთილი ცხოვრება-მოქმედებით შენ შემომჩერე ხალხის გულში გააღვივო სიყვარული ღვთისა და გამოიწვიო მათში ქება-დიდება შემოქმედისადმი.

«სახედა ქვეშე სიყვარულით». არ ემარა მარტო ფორმალურად, გარეგნულად ასრულება სამსახურ-თანამდებობისა, არამედ საჭიროა ყოველივე შენი მოქმედება გამსჭვალული იყოს მოძმისადმი სიყვარულით და იმ ფიქრით, რომ ქრისტიანენი გამოსყიდულნი არიან ქრისტეს სისხლითა და ამიტომ ძვირფასნი უნდა იყვნენ ესენი შენთვის, უნდა მსახურებდე, «არა იძულებით, ანუ საძაგელსა შეძინებით», არამედ გულმოდგინეთ, სიყვარულით, უნდა აფასებდე ყველა შენ სულიერ შვილებს, უნდა სცნობდე მათ უფლება-ღირსებას და არაფერი იძულებისა და მტრობის ჩამომგდები შენსა და მრევლს შორის არ უნდა ჩაიდინო, ე. ი. იქმნე ნამდვილი მზრუნველი მამა, მოწოდინე სულიერად და ზნეობრივად შვილთა შენთა აღშენებისა.

«სულით», ე. ი. ზნეობრივის მიმართულებით, ასე, რომ ყველასათვის ცხადი იყოს, რომ ცხოვრებაში შენ ხელმძღვანელო არა ქვეყნიური და ხორციელი მოსაზრებით, არამედ უმეტესად ზეციერით. დე ყველამ იცოდეს და ყველა ხელვიდეს, რომ შენ ხარ სულიერი და არა სოფლიერი, გონებით გაფანტული ერის კაცი, ყველას აგრძნობინე და დაანახე, რომ შენ ემსახურები უხილავ ღმერთს, რომლისაგან გამოვლი ყოველივე სიკეთე-მედიცინურებას აქაც და

საიქიოსაც, რომ ყოველივე სასოება მისდამი დაგმოს და ვცრაფერი ამა ქვეყნიური ნაკლულოვანება-უბედურება ვერ შეიარყევს შენს რწმენას — სასოებას. ოპ, რა კლდე შეიქნება მაშინ, მწყემსო, შენი სამწყსოსათვის! რაგვარ გაამარგებდაღ გამამხებველდა შენი მაგალიდი სხვათა მცირე მორწმუნეთა! მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტეს ნაწილად, შენ ხარ ხორციელი, ამა ქვეყნის შვილი და პირველად ყოვლისა ამა წარმავალს ცხოვრებაზე მზრუნველ-მფიქრალი. შენ გსურს იყო წარბეზებული ყველაფერში სიმდიდრითა, სახელითა და შვილების სწავლა-აღზრდითა და ქათუ ესენი რამე ნაირად მოგაკლდეს, მუდამ დარტყნივდ და ოხრავ, გავიწყდება ამა ყოველივე ღვთისაგან არის; მოვიკვდება ვინმე, მიეცემი უსხომო მწუხარებასა. მაშ რაში სჩანს შენი რწმენა, ღვთისადმი სასოება? ასე ხომ სხვებიც იქცევიან, მაშ შენი წინამძღვრობა რაღაშია? ამის შეხედველნი შენნი სულიერნი შვილნი რა აზრზე და გუნებაზე დადებენ? მაშ ნულა გიკვიროთ, როცა თქვენ და მრევლთა ქრისტეს მცნება-მოდგრებისა, მხოლოდ ჩაცემლობით განსხვავებულთ სხვათა მომავკვდავთაგან, ცუდის თვალთა გიუღრებენ, თქვენ წინ ამხედრებულენ და თითქმის არ გაფასებენ.

ეს ჰქმნა შენმა გულცივობამ, საღმრთო საქმეში დაუდევრობამ. შეუძლებელს არაეინ გთხოვს: მიანებე თავი შენს ცოლ-შვილს და ოჯახს და მარტო სხვისთვის იზრუნეო, ამას არ თხოულობენ. არც იმას გავაღებენ, რომ ხელი აიღე ყოველივერ შემოსავალ-ჯამაგირზე და ისე ემსახურე სოფელ-ქვეყანასაო. არა, შენგან მოითხოვენ მოსიყვარულე გულს, მოძმისადმი სიყვარულით და თანაგრძნობით გამსჭვალულს გულშემატკივრობას. თანაგრძნობა საჭიროა და იმით დაამტკიცებ, რომ შენ მარტო შენი ოჯახი კი არ განიტყრესებს, არამედ სხვების ბედ-იღბალიც. გულშემატკივრობა — თანაგრძნობა გამოიხატება არა მარტ ნივთიერ დახმარებით (ხანდლისხან ესეც დასჭირდება მღვდელს, მაგრამ ამისი არ უნდა ეშინოდეს: შესესა ნვეი ზარალი არ მოუყვას, რომ წლიწლადში ორი-სამი მანეთით დაეხმაროს ვინმეს, ამით კი ის ბადავს მრავალთ მიმბაძავთ კეთილ საქმეში), არამედ კეთილ რჩევა-დარიგებით და სხვისი მწუხარება-შინიარულების გაზიარებით. აი მაშინ აღგლი არ ექნება ისეთს სიტყვებს, როგორც ეხლა გაისმის ხოლმე: მღვდელს ქე უხარია, როცა



მოკვდება ვინმე მის მრევლში*. მართალია მღვდელი ზეციერი არსება არ არის, რომ მოვთხოვით ყოველივეში უმანკობა და უტოლველობა, მაგრამ იგი თვის დანიშნულებისა გამო მიიწვება გაცილებით მაღლა უნდა იდგეს თვის მრევლზე ზნეობით, სიყვარულით, სათნო გულით და სასოებით ღვთის განვებულობაზე. როგორც რომ სამხედრო სამსახურში თავის ნებით შესული პირი მხალღი და ჯაბანი გასაკიცხია, ისე დასაგმობ-გასაკიცხია მღვდლობის ხარისხის მიმდებელი, თუ იგი არ არის გამსჭვალული ქეშმარიტის სარწმუნოებით, თვისი ღიადი დანიშნულების და მიღების წესიერად აღსრულების სურვილით. რა მოვთხოვით ისეთ მღვდელს; რომელიც მოწოდებით კი არ მიდის მღვდლად, არამედ ნივთიერ სახსრის საპოვნელად და ანგარიშებით? მღვდლობა არის სამსახური სულითა და აი, აქ უნდა ჩნდეს პირველად ყოვლისა მღვდლის მოქმედება — მოძღვრება, რომ მან საკუთარი ბედნიერებით გატაცებულს ადამიანს არ დააიფიყოს, რომ არსებობს უფრო მაღალი მიზანი, უკეთესი ცხოვრება, რომ ადამიანს მოაგონოს, რომ ის ადამიანია და ამიტომ ცხოვრებითა ღმირაფებით პირუტყვზე მაღლა უნდა იდგეს და სხვ. დიხა, მღვდელს უნდა ჰქონდეს მტკიცე სარწმუნოება, ე. ი. მას უნდა სწამდეს და ქეშმარიტათ მიაჩნდეს ყოველივე ის, რაიც ზენთვის ჯვარტულმა ქრისტემ გვაძინო — გვასწავლა. იგი (მღვდელი) სრულიად მინდობილი უნდა იყოს ღვთის განგებულება-მზრუნველობაზე, ღვთის იმედიც უნდა ჰქონდეს და თვითონაც უნდა სტედიობდეს სულიერად და ზნეობრივთ განვითარებისათვის. ვერაფერმა გაიჭივრებ-უბედურობამ ვერ უნდა შეარყოს და შესუსტოს ზენში, მაშინ, საწრწმუნოება და თუ ზენ ამასთან იქნები ყოველივეთ საქმით სვეტაკი, პატროსანი და არაფერი სიკუდილთ არ შეიბილწები, მაშინ ზენ ექმნები „მორწმუნეთა მათ სახეთ სიწმიდითა“.

უკეთუ, მწყემსო პირმეტყველ ცხოვართოო, ისე იქცევი როგორც მაცხოვარი გვიბრძანებს და როგორც ჯვარზე გიწერია მაშინ ზენ შეიქნები მწყემსი კეთილი, რომელსაც გიცნობს ცხოვარი ზენი, მაშინ დიდი სიყვარული და ერთობა და მყარდება ზენსა და ერს შორის, ნაცვლად ეხლანდელის მტრულის დამოკიდებულებისა, მაშინ ყველა მეტათ დაგვაფასებს და მეტი გასაგალიც ექნება ზენს სიტყვა — ქადაგებას.

ნუ, ნუ დაემონებით მამონასა, ნუ წარგიტაცებთ სიამენი ამა სოფლისა, გახსოვდესთ რისთვის ხართ მოკვლენილი და დიდგენილი ამა ქვეყნად...

ღ. ჭაჭავიძე-ქუთაისელი.



ძველი და ახალი უხედელობა საერო პირთა სამღვდლოებაზე.

წმიდა ტრაპეზის მსახური აღრიდამე დიდათ პატრივმულნი ყოფილან ერისკაცთა ქრისტიანთაგან. მათ ზხირად მიუღიათ შეურაცხება, წამება და თვით სიკვდილიც არა-ქრისტიანთაგან, განსაკუთრებით როდესაც რომელიმე მათგანი უჩვენებდა მათ ქრისტიანობის უპირატესობას და ნაკლულევენებას მათი სჯულისას, მაგრამ სამაგიეროთ მათ ამხნევედა ქრისტიანების იმათთან ვანწყობილება და პატივისცემა. ქრისტიანები აძლევდენ მათ საშუალებას ჩაცმა-დახურვისა, სასმელ-საქმელისა და საცხოვრებელი ბინის მოპოებისას. და არა თუ ძველად, ქრისტიანობის პირველ ხანებში, ამ ბოლო დრომდისაც დღევანდელზე გაცილებით მეტი პატივისცემა ჰქონდა სამღვდლოებას საერო პირთაგან, თუმცა სამღვდლოების უმეტესი ნაწილი უინაურათ ნასწავალი იყო და რომელიმე სასწავლებელში კურს დამთავრებული იყო ერთი თუ გამოერეოდა. მასსოცს ამ ოცი-ოცდა ხუთი წლის წინედ მღვდლებს ბევრათ მეტი გავლენა ჰქონდათ თავის სამრევლოებში. იმათი აზრი და შეხედულება სასულიერო და საერო საგნებზე, შემცდარიც რომ ყოფილიყო, ყველას უტყუარ ქეშმარიტებთ მიაჩნდა, მათგან აღსარების დროს გადაწყვეტილი კანონი ყველას სავალდებულოთ მიაჩნდა და მის შესრულებას ცდილობდა; ყველა მორიდებული იყო მღვდლის საწყენ საქმეს და მოწადინებული მის სიამოვნებას, მის ნივთიერთ უზრუნველ ყოფას, რასაკვირველია იმ რწმენით, რომ ის არის სულიერი მამა და ყველასათვის ერთგული მლოცველი წინაშე ღვთისა. სასოება მღვდელზე იმ ზომით დიდი იყო, რომ კარგი ნასწავლი და თანამდებობის კაცი არ თაკილობდა უბრალო საფლას მღვდლისაგან შენდობის მიღებას. მღვდლის მიბრძანება ოჯახში ყველასათვის დიდათ სასიამოვნო იყო. ქრისტეს აღდგომა ხომ დღესასწაულთა დღე-



სასწაული და ყველასათვის სასიხარულო ღღეა, მაგრამ ამ ღღესაც კიდევ უფრო სასიხარულო ხდოდა მღვდლის კრებულებით ოჯახში მიბრძანება და ღღესასწაულის მილოცვა. არ დამავიწყდება სიკვდილმდის ის გულუბრყვილო სიხარული, ის აღფრთოვანება სასიხარულისა, რომელსაც ჩემი გული გრძნობდა ხოლომე ბავშვობისას, როცა დიდი აღდგომას, ან შვირთ ღღეს, მღვდელი თავისი კრებულებით მიბრძანდებოდა ხოლომე და ეზოს კარებამდე დაიწყებდა ამ სასიხარულო საგალობელს: «აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოხნი უგალობენ ზეცათა შინა!» მღვდელი წმ. წყლით მოასხურებდა სახლს, ასხურებდა თითოეულად ყველა ოჯახში მყოფლებს და წაუკითხავდა ლოცვას «შვიგინებულის მკამელისას». ყველანი პატივს ცემდნენ რითაც შეეძლოთ. თუ მღვდელს ცოტა თავისუფლება ჰქონდა, ის დაბრძანდებოდა და მათთან შეგროვდებოდა ყველა ოჯახის წევრები, რომლებთანაც საუბრობდა, მხიარულობდა. მღვდელსა და მრევლს შორის არ იყო ის ოფიციალური დამოკიდებულება, როგორც ეს ღა იმჩნევა. მღვდელი თავისი ოჯახობით მრევლის თათუელ ოჯახთან და ეს უკანასკნელნი მღვდლის ოჯახთან გრძნობდნენ რაღაც განუწყვეტელ კავშირს, რაღაც შემეართებელ ძალას. ასეთი დამოკიდებულების შედეგი ის იყო, რომ მღვდელი და მრევლი ერთმანეთის მუდამ კმაყოფილი იყო, მღვდელზე საჩივარი იშვიათი მოვლენა იყო, რადგან მღვდლის შეწუხება ყველას ღვთის შეწუხებათ მიიჩნდა. ერთს კიდევ რომ ვისმე გაებდა მღვდელზე საჩივარი, ათასი ასე დაგმობდა: «რა გრჯის მღვდლის საჩივარს, ჩვენი სულიერი მამა და ყველასათვის მლოცველი, ღვთის ენა-პირი ხელში უკავია!» ამ სიტყვების შემდეგ მომჩივანიც შეიკლმებდა, მღვდელს შეურიგდებოდა და ისევ მისი მორჩილი მოწაფე ხდებოდა. ღღეს კი ამის მსგავსს ველარაფერს ვხედავთ. მღვდელსა და მრევლს შორის დამყარდა რაღაც მტრული დამოკიდებულება. მღვდელსა და მრევლს ღღეს ძალაუფლებურად აერთებს მიუცილებელი მღვდელმოქმედების საჭიროება, ისე კი ისინი განცალკევებულნი არიან. მღვდლის ნივთიერ მდგომარეობაზე ღღეს ვერისკაცი სრულებით არ ფიქრობს და ხშირადაც პირში ეუბნება მას: «ნეტავი თქვენ, მკვდარიც თქვენია და ცოცხალიც!» თუ მღვდელსაც ოდესმე ნაკლებეანება ფულისა, ან სარჩო-საბადებლისა აქვს, ამას მისი

მრევლი ვერ წარმოადგენს და თუ მის ხელში აზნურის ჯვარის წვრახე აღებულ ოცდა-ხუთიანს მოკრა ვინმემ თვლი, მაშინ ხომ ატყდება ერთი მიტყამითქმა: «ნეტავი მღვდლებს, მათთან ყოფაში ღღებერნატორი არ არის, რთ საათში ოცდა-ხუთ მანეთს ღღებულობენ!» იმა კი არავენ ფიქრობს რომ 25 მანეთის ერთად აღებას სოფლის მღვდელი შეიძლება წელიწადში ერთხელაც ვერ შეხედეს. რადგან მღვდლების სიყვარულიც მათგან შესრულბულ საიღუმლოებზე სასიხარულო შემეცირდა, ამიტომ ის (მღვდელი) უფაქროთ და უღაივარაბოთ ვერაფერს ღღებულობს. ხშირად 5—8 მან. მაგიერ მღვდელს 2—3 მანეთის აძლევენ და თუ არ დასჯერდა, საჩივარიც მზათ არის. ზოგიერთები სულ ცოტა რაიმე მიზნისათვის აუტყვენ თავის სულიერ მამას საჩივარს და ამ საჩივრისათვის არ ერთდებიან არც ცდენას, არც ხარჯს და არც თავისი სულის დაღუბნას, რადგან მომჩივნები მზათ არის სიტრუეზე დაიფიცონ და დაიფიცონ მრავალი მოწმები. საკმაოა ერთმა ვინმე სოფელში გავლენიანმა კაცმა გულიდამ ამოიღოს მღვდლის საჩივრით შეწუხება, რომ მან მთლთ სოფელს ხელი მოაწერიოს საჩივარზე და მრევლი მტრად უქციოს. ასეთი საჩივრების გამომძიება-გამოკვლევას ველარ უღიან სასულიერო გამომძიებლები და ბლაღოჩინები. ეს საჩივრები უმეტეს ნაწილთ გამტყუნებულნი რჩებიან, მაგრამ მამა-შვილობას მღვდელსა და მრევლს შორის კიდევ მაინც უფრო ასუსტებს. ასეთი არა სასიამოვნო დამოკიდებულება მღვდელსა და მრევლს შორის რაც ღრო გაღის თან და თან მატულობს. გასაკვირვალის ის არის, რომ ხალხის სიმპატია ბევრად თუ ცოტათი ისევ ხანში შესული მღვდლებსაქვენ არის მიმართული, გინდა ნასწავლი იყოს იგინი გინდა არა; ახალგაზდა ნასწავლი მღვდლები კი შესამჩნევათ მოკლებულნი არიან მრევლის მხრით თანაგრძნობა-სიყვარულს. მიზნეზი ამისი კი ისევ იმავე მღვდლებში უნდა ვეძიოთ. აი რანაირად:

ჩვენ დაგვიწყნია მაცხოვრისაგან მოციქულბისადმი მიმართული სიტყვები—«მცნებასა ახალს მოგცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთთარს» და ხშირად ვინმე ერთმანეთის შესახებ მტრობას, შურს და ცილის წამებას. თუ რომელიმე ჩვენგანმა სამსახურით, ან ნივთიერი ცხოვრებით ცოტა წინ წაიწია, შური შეგვიპყრობს და არავითარ საშუალებ



ბას არ დაგზოგავთ ერთმანეთის დამარცხებისათვის. ამ შემთხვევაში განა გასაკვირვალა, რომ ჩვენი ქადაგება მათ-მოყვარეობის შესახებ ერის კაცმა ამ სიტყვებით შეგვაწყვეტინოს: „რატომ თქვენ, მღვდლებს, არ ვიყვართ ერთმანეთი?“ მოესპოთ ასეთი ხასიათი ჩვენში; შევიყვართ ერთმანეთი ნაწვდილი ძმებებით, ხოლო ჩვენი სულიერი შვილები—ნადღვილი შვილებით.

ბევრ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიჩინებ მტრისა და მოყვრის, ავისა და კარგის გარჩევას უნარს. ხშირად გუნდრად უკმევთ და ვაჯილდოვებთ ისეთ პირებს, რომლებსაც არც ნიჭი შესწევთ და არც ხალისი რაიმე ქრისტიანული საქმე გააკეთონ; ხოლო დევნილი ისეთ პირებს, რომლებიც თავისი ნიჭით, შრომითა და გამოცდილებით ხელმძღვანელობს გვიწვევენ ჩვენი მოვალეობის ასრულებაში და ხელს უწყობენ მდაბიო ხალხის ზნეობისა და გონების წინ წაწევას. დარწმუნებულიც რომ ვიყოთ ისეთი პირების მოქმედების სარგებლობაში, ჩვენ მას მიანიჭებთ მტრულად უყურებთ და მის ღვაწლს არაფრად ვაგვადებთ. ამას უბრალო ხალხიც ხვდება და ამიტომ ჩვენ უფლებდა აღარ გვაქვს მას ავკარგინოთ შესახებ ვისაუბროთ. ნუ ვიზამთ ასე: კეთილი მისწრაფება კაცში დავფასათ და წავაჭებოთ, ხოლო ბოროტება დავგმოთ და მის მოსპობას ვეცადოთ.

ჩვენ მდაბიო ხალხში ბევრი ცუდი ჩვეულება და ამაოდ მორწმუნეობა არის გავრცელებული. ამ ბოროტებათა წინააღმდეგ გონიერულად უნდა აღვიჭუროთ და თანხმობით ვიმოქმედოთ, თორემ არაფერი არ გამოვა, როდესაც ერთი ჩვენგანი ცდილობს რაიმე ცუდი ჩვეულების მოსპობას, მეორე კი, იქვე მახლობელ მრევლში, იმავე ცუდი ჩვეულების გავრცელებას ხელს უწყობს. ამ შემთხვევაში ათასი რომ უქადაგოთ ხალხს ცუდი ჩვეულების მოსპობის შესახებ, ის არას დაგიჯერებთ ზე თქვენსავე გამტყუნებას მიიწინააღმდეგებთ ამ საგანზე თქვენივე მგზობელი მღვდლის შესვლად.

სავალდებულოთ უნდა მიგვიანდეს გვექონდეს ყველას სამრევლო სკოლა და მასში საქმის რიგიათ წაყენას ვცდილობდეთ. ამ სკოლების წყალობით ხალხში გავრცელებდა წერა-კითხვის ცოდნა, სასარგებლო წიგნების კითხვის სურვილი, ახალი თაობა შეითვისებდა საუკეთესო აზრებს და საზოგადოება წინსვლა გაუმჯობესდება, როგორც ზნეობრივ—

გონებრივით, ისე ქონებრივადაც. შეიძლება ამ შემთხვევაში ჩვენ კეთილ მისწრაფებას შემწეობის ნაცვლით ხელიც შეუშალოს ვინმემ, მაგრამ ჩვენ საქმეზე ამისთვის გული არ უნდა გავიტყუოთ. ჩვენ კი, საუბედურთა, სკოლების საქმეში ხშირად ვერ ვიჩინებ მუყაითობას და ამით ჩვენსავე თავს პატივსა და სახელს უკარგავთ საზოგადოების თვალში.

საზოგადოება დღეს ჩვენგან მეტს მოითხოვს, ვინემ ძველი შინაურად აღზრდილი მღვდლებისაგან. მდაბიო ხალხი ხშირად მოგვმართავს ხოლმე სასულიერო და საერო შინაარსის კითხვების განსამარტებლად და ჩვენ ვერ ვაძლევთ ჯეროვან პასუხს, რაიცა მას ჩვენზე ნდობას უკარგავს. ამის მიზეზიკი ის არის, რომ ჩვენ დაიკლებული ვართ თანამედროვე ცხოვრებას, რადგან ნაკლებათ ვეცანებითა და ზოგი სრულებით არ კითხულობს სასულიერო და საერო წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ჩვენ ოჯახებში იშვიათად შეხვდება კაცი რიგთან წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთების ნომრებს. თუ ვისმე ჩვენგანს შემთხვევით ჩაუვარდა ხელში რომელიმე წიგნი, ის ისე ფურცლებ დაუქრული ეგდება სადმე კუთხეში მიგდებული, რომ მის პატრონს ფიქრათ არ მოუა მისი გადაფურცლა და გამოიხურება. ეს სიტყვები, საუბედურთა, ჩვენი სამედველობის უმეტესობას შეხვდება და ვისაც არ შეხვდება, ის ადვილი საცნობიცი არის. მაშ რა არის მიზეზი, თუ არა ერთის მუყაითობა და მეორეს დაუღვეწელობა, რომ ერთსა და იმავე სასწავლებლიდამ გამოსული პირები ისე ცხადათ განიჩვენებენ ერთმანეთისაგან საგნების ცოდნით, ზნეობით და მიმართულებით? ერთს რომ მთლად დაიწყებია ნასწავლი საგნები, წიგნი თვლით დასანახავთ ეგვარებას, ყოველ კეთილ საქმეში უკარგობდლობას იჩენს, მარტო თავისი სარგებლობა ახსოვს და ამ შემთხვევაში არ ერიდება არავითარ უზნეო საშუალებას; მაგიერათ მეორე ცდილობს ცოდნა შეიძინოს კარგი წიგნების კითხვით; ჟურნალ-გაზეთების საშუალებით კვალ-ღ-კვალ მისდევს თანამედროვე ცხოვრებას და ცდილობს სინათლის შუქი თავის მრველშიაც შეიტანოს. თუ გვიანდა ცხოვრებას უკან არ ჩამოვრჩეთ და სხვისი სწავლება შევიძლით, ჩვენ თვითონ მუდამ უნდა ვსწავლობდეთ. სასწავლებელში არავის იმდენი სწავლა არ მოვიღია, რომ მითი სამუდამოთ დაკმაყოფილება შეიძლებოდა და თვით-განვითარებაზე ზრუნვა ჩვენთვის საქმი-



რო არ იყოს. სპენსერის სიტყვით, სასწავლებლებში ჩვენ ვღებულობთ განვითარების დასაწყისს და შრომის სიყვარულს, სრული აღზრდა-განვითარება კაცისა არის საქმე შემდეგში თვით-განვითარებისა.

ვეცადოთ ეკლესიების გამშენებას და მათში ხშირათ სასოციალისტო ღვათა-მსახურებით მივიზიდოთ ხალხის გული. დავაარსოთ შეძლებისამებრ სამრევლო სამზრუნველოები, სამკითხველო-წიგნთ-საცავები, გავმართოთ ხოლმე ხალხთან კითხვა—საუბრები სასულიერო და საერო შინაარსისა. ყველა ამაების რიგიანათ მოწყობის შესახებ კი მსჯელობა ექიონით ხოლმე საბლაღოჩინო კრებებზე.

თუ ასე ერთობით ვეცდებით ყველანი ჩვენი წმ. მოვალეობის შესრულებას, იმ შემთხვევაში ჩვენ-დაზიანდება-სიყვარული საზოგადოებისა გაძლიერდება და ჩვენი ნივთიერი მდგომარეობაც ერთი-ორთ გაუმჯობესდება, რადგან არც ისე შეუღწებელია სოფლის უსწავლელი ხალხი, რომ მან პატროსანი შრომა თავისი სულიერი მამას ვერ იცნას და შეძლებისამებრ კიდევაც არ დააჯილდოვოს.

მღ. სიმონ ჭუმბურაძე.

პორტ-არტურის აღება.

მევი მწერლები ამტკიცებდნენ, რომ პორტ-არტურის აღება შეუძლებელიაო. მაგრამ ჰკვიანი და გონიერი მწერლები ამტკიცებდნენ, რომ კაცი-სიან გაკეთებულ სიმაგრეს აღვილოდ დაანგრევს ისევე კაციო. ერთმა რიგიანმა მწერალმა ამას წინად გამოაცხადა, რომ იაპონელები ახალ წელს პორტ-არტურში გაითენებენო. მათი ახალ წელიწადი 19 ამ თვეს იყო და მართლაც ამ დღეს ისე მედგრად მივიდნენ, რომ გენერალმა სტესელმა საუმჯობესოდ დაინახა ეს შესანიშნავი სიმაგრე იაპონელებისთვის დაეთმო. 35000 ათასი ჯარიდან ომით დაიხოცა ათი ათასი, თერთმეტი ათასი დაიღუპა და ავადმყოფია, 8 ათასში 2 ათასი უფარგია და 6 ათასი ჯანმრთელი ჯარია. ოფიცრები გაანთავისუფლეს და რუსეთში გაუშვეს დანარჩენი ჯარი დატყვევებული იაპონიაში გაგზავნეს და პორტ-არტურს დაეპატრონენ. მოგვყავს ამ ციხის აღების შესახებ ჟურნალ-გაზეთების ცნობები.

პორტ-არტური. დაუსრულებელი არა არის არა წუთის სოფელში და პორტ-არტურისაც აღსასრულის დღე დაუდგა. პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს წინააღმდეგობაზე ხელი აუღია და გენ. სტესელს მოლაპარაკება გაუმართავს გენ. ნოვისთან ციხის ჩაბარებაზე. იაპონელებსაც ციხის შტურმი შეუწყენბიათ... მარშალ იამაგატას 20 დეკემბერს იაპონიის იმპერატორის ბრძანებით, დევნა გაუგზავნია გენ. ნოვისათვის: «იმპერატორი დიდად აფასებს გენ. სტესელს თავანწირულებასა და მამულისადმი ერთგულებას და სურვილს აცხადებს, რომ შესაფერი პატივი სცეთო»...

მართალი გამოდგა ინგლისელ კორესპონდენტის წინასწარმეტყველება, იაპონელები პორტ-არტურში გაატარებენ მომავალ ბედნიერ დღეებსაო. მართალი გამოდგა სამხედრო მიომბილველების აზრიც, რომ ერლუნგმანისა და სუნშუშანის აღება პორტ-არტურის ბედს გადასწყვეტსო.

სუნშუშანი 18 დეკემბერს აიღეს იაპონელებმა, 19 დეკემბერს საღამოთი ფორტი II, პანლუშანისა და ვანტაის ფორტები, სოფ. ხაუსანიანტოს ახლო სამხრეთით სიმაღლეები დაიჭირეს და დანარჩენი ფორტებს რკინის რგოლივით შემოერტყნენ სამის მხრიდან. აღებულ ფორტებს შუა დარჩენილი ფორტები (ტუნგკიკიკიშანი, ფორტი III) თითონ რუსებმა ააფეთქეს და უკან დაიხიეს. დანარჩენი ფორტებიც, ალბად, ძლიერ იყო დაზიანებული, მეტი წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო და გენ. სტესელმა მოლაპარაკება დაიწყო გენ. ნოვისთან დამორჩილებაზე... მოლაპარაკების წინ, რუსებმა ჩაძირული გემები ააფეთქეს...

პორტ-არტურს იაპონელებმა ხმელეთიდან სწორედ 17 ივლისს, მგლის გორების აღების შემდეგ შემოარტყეს ალყა და 20 დეკემბრამდე, ესე იგი სრულ 5 თვეს მოუწოდნენ იმის ურიცხვ მიუვალ სიმაგრეების აღებას. მცოდნე ხალხი ამბობს, ჯერ ასეთი მაგარი, მიუვალი ციხე არავის აუღიაო... პორტ-არტურთან ორივე მხარემ, რუსებმაც და იაპონელებმაც, საოცარი გამირობა და თავგანწირულება გამოიჩინეს... პორტ-არტურის აღება დიდ გავლენას ექიონებს სამხედრო მოქმედების ახალ მიმდინარეობაზე...

ბერი-კაცის ნაშრომი,

მთელი იმერეთი და დასავლეთი საქართველო უმამულოა, მთელი მთის ხალხი, სვანი, ფშავი, ხევსურთ, თუში უმამულოა, ბევრს სამოსახლოც არ აბადია. მთის ხალხს საქონელი არჩენს და აცხოვრებენ, ეხლა საძოვრები ჩამოართვეს და ერთადერთი წყარო ცხოვრებისა დაუშრებათ, მაშ რილათ იცხოვრებენ, საით წავლენ? საქართველოში მამულები ბევრია, ჩვენ ხალხს აქამდის მამული ბლომათ ექირა, ეხლა კი ყველას მოკრით აძლევენ მამულს და დიდი წილი უპატრონოდ რჩება, ესე იგი ხაზინა ეპატრონება და ასახლებენ ამორჩეულთ, ბედ იღბლიანებს, ყველას, ქართველების მტერს.

შავი-ზღვის პირას დაურიგეს მამულები რუსებს გარდა სომხებს, ბერძნებს, ქართლში და კახეთში «ხახოლებს», ახალ-ქალაქის მხარე «მაღაყნებით და პრიგუნებით» აავსეს. ვაზეთი «კავკაზი» ღღეს სწერს, რომ, რადგან ომიანობის გამო რუსების გადასახლება კიმიბრში შესდგაო, ამიტომ საქპირა იქ მიმავალი «აღმოსავლეთ კავკაზიაში» მოკავთავსათო, სადაც რუსების მოსახლობა შეადგენს მხოლოდ ორ პროცენტსაო. რუსობა განჯისა და ერევნის გუბერნიებს კი ეტანება, უფრო ტფილისის გუბერნიას რჩეობს, ქართლსა და კახეთსა. გადმოსახლებულთა «პარტიები» კიდევ მობრუნდნენ და დაბინავდნენ, ამით გარდა სხვებსაც მოელიან, იმათ დასაბინავებლად გადმოსახლებულთა კომიტეტმა გადასდვა საქვაოფული, გამოიჯნა მამულები, დააკეთა სადგომი სახლები, გამოიყვანა წყლები, რომ მოსული ხალხი მზათ გაწყობილი და გამართლნი დაბინავდეს.

საქართველოში თავისუფალი მამული არც კერძო და არც სახელმწიფო სრულიად არ არის, თუ სახაზინო მამულები გამოჩნდნება სადმე, მთიულები ღვთის ანაბარას ყრიან, იმერლობა კიდევ უმამულობის მიზეზით ურიების კვალს ვაჰყენენ, ქვეყანას მოედვენ, ჯერ ეს მკვიდრი მოსახლენი დაბინაონ და თუ დარჩება, მაშინ სტუმარსაც ვეციძლება პატივი სცე. თუ არა ზე შინ ყმაწვილები გვიციძლება პატივი ხელიდგანა გველჯენ და ჩვენ ტაბლებს უცხოელებზე არიგებენ. უმამულობა ეხლა დიდი გამოწვევებული სენია და შემდეგ უფრო გამოწვევდება! მამულის შეძენას და შენახვის საქმეს ეხლავე უნდა შეუდგეს, ვისაც რამე თუ აბადია!

ღღვეანდელ «ც. ფ.» ნომერში ს. ხორიდა იწერებინა, რომ სამეგრელოში ამ სოფელს ჰქონდა თავისი სკოლა, ხალხი კარგი თვლით უყურებდა, დახმარებასაც აძლევდა, სახლი აუშენა; მაგრამ ეხლა ვაიგო, რომ ნაბრძანებია სკოლაში ქართული აღარ უნდა ასწავლონო, ხალხმა გული აიყარა, სახლი დაუხურავი გაუშო, და გაიძახიან—ამისთანა სკოლა რაღათ გვინდაო. მაგრამ სწავლის სურვილი კიდელი ჰქონიათ: აქაური მასწავლებელი დილით აღრე ღდება, გადის მინდორში, ხეების ქვეშ აქუჩებს ყმაწვილებს და ისე ასწავლის რუსულსა და ქართულსა. საკვირველი და გასაცარი ამბავია, მაგრამ ამბობენ ნამდვილიაო.

*

*

დიდი ნაწილი საქართველოსი ბევრი ხანია ქრისტიანობას მოსწყდა და სპარსეთისა ოსმალეთის ხელში მახადიანებად გადაიქცა. მერე რუსებმა სათათროს ზოგი წილი გაათარებული საქართველოსი ჩამოართვა 1828—57—78 წლებში, ხოლო საქართველოსი არ შემოუერთეს და სათათროში ჩარიცხეს; ასე რომ საქართველოსი ძველი ჰერეთი, მესხეთი, არტანუჯი, კოლა, ტრასკარია, აჭარა, ჰანეთი ეხლაც დასახლებულნი ძველი ქართველებით, ხოლო რჯულით თათრები, სათათრო მაზრებდა ითვლებიან. ჰერეთის ხალხს ინგილოებს ეძახიან, ვინც გაქრისტიანდა, ზემო-ქართლის გაათარებულს ქართველებს მუსულმანებს უწოდებენ, ქართველის სახელსაც არ არქმევენ. ძველი გამოჩენილი, თავდადებული მესხეთი სათათრეთში სწვრია და ქართველები, რჯულით მუსულმანები, თათრების სახელით გადნათლულან და ქრისტიან კათოლიკე ქართველებს კიდევ სომხები დაარქვეს, ახალციხის, ართვინის და არდნუჯის ქართველ კათოლიკებს გამოუცხადეს, თქვენ სომხები ხართო. დიდ მოსავ ხალხს მესხელებს ასე მწარეთ უმუხთლა ბედმა და ისტორიამ, სახელი რა არის, სახელიც კი ქართველისა დაკარგა და მუხთალი ბელის უფსკრულში ჩაინთქა!

არტანუჯის, ოლთისის და ტრასკარის ქართველები ოსმალურად ლაპარაკობენ, თუმცა კი ახსოვთ, რომ ისინი ოდესმე ქართველები ყოფილან, აჭარლები ქართულად ლაპარაკობენ და ქართველებში წილი იღებენ, ხოლო თითონვე ამბობენ, რჯულით თათრები ვართო. ინგილოები ქრისტიანები არიან, ზოგი კი ისევ თათარია, ენა და ლაპარაკი კი ქართული



აქვთ. ინგილოებში ქრისტიანობის გავრცელება ჩვენ მღვდლებს ერგოთ წილათ, კიდევ შეიტანეს ქრისტიანობა, პირველი მქადაგებელი ქრისტიანობისა იყვნენ მღვდლები ს. ლამბაროვი, ტ. ბალაგვი, ჩ. და დ. ბეგევეები, მაკარი არხიმანდრიტი, ახლო ხანებში მღვდელი დ. ჯანაშვილი.

ზემო ქართლს, მესხეთს ბედმა მწარეთ უმუხთლად, მისიონერის ღირსიც არ გახადა, თორემ აქ უფრო ადვილად დამყარდებოდა ქრისტიანობა, სანამ საინგილოში ბოლო ეამს ქრისტიანობის გავრცელება შეფერხდა და როგორც დ. ჯანაშვილი გვიმოწმებს, შეფერხება იწყო იმ ხნიდამ, როცა ოლქის უმფროსებელ დაინიშნენ სომხები: უკანასკნელებმა განაცხადეს, რომ მართლმადიდებლობა ხალხთა შორის მძულვარებასა ჰბადებსო და მშვიდობიანობას უშლისო, და რაც იყო ნაღვაწი და საშრომი პირველ მქადაგებელთაგან, ბევრი მიიფუშა და ერთ დროს „მისიონერიც“ კი გამოაძიეს, ძველი გაახლებული ეკლესიები ჩაკეტეს ჭ დასტოვეს ორიოდე მღვდელი ბლალაჰინით, ისინიც ობლების კანში. მაგრამ თითონ ინგილოები მიხვდნენ ქარის შრილის გულის წადილს და ქრისტიანობას არა დლატობენ, ასე რომ ეხლა ქრისტიანობას და ქართულ ენას არა ხიფათი არ ელის. ძლიერ კი აწინებდენ „კარაბეტა უფროსები“ მართლმადიდებლობა რომ გავავრცელოთ, ინგილოები ქართულათ ლოცვას იწყებენო, ვითომ და ქართული ლოცვა და ლაზარკი ვისმე აზნევედეს, ან როდისმე ეზნივოს ვისთვისმე.

* *

ქართლში გამიჯენის საქმე უფრო გამწვავებულა. იქ მამულები ერთმანეთშია არეული—სათავადო, საეკლესიო და საგლეხო. საქართველოს ორნაირი მამულები აქვს: სათავადო და საგლეხო; სათავადო შეადგენს თავადიშვილების საკუთრებას, მეფეებისაგან ნაბოძებს. დანარჩენი მამულები გლეხებისა და სხვა წოდების სახმარებელია. საგლეხო მამულს სახელმწიფო მამულს ვეძახით იმიტომ კი არა, რომ ხაზინამ დაიჩემოს და ვისაც ჰსურს იმას უბოძოს, არა; იმიტომ, რომ გლეხი ხელმწიფის კაცია, მეფის მოსამსახურე და რაც სახელმწიფოში მამულებია, თავადებისა და ბოიანსტრების მამულების გარდა, სულ გლეხების სახმარებელი უნდა იყოს. მაგრამ გამიჯენამ ისე წაიყვანა საქმე, რომ იმ მამუ-

ლებს, რომლებიც წინათ საკუთრებად ეკირათ, ერთმანეთში ურევენ, ერის ხალხს უზომავენ აქედამ, რაც უჭირავთ და ან რაც საჭიროა ეხლა, დანარჩენს იმათ აძლევენ, ვისთვისაც ემეტებათ.

საზოგადო სენათ გადაიქცა ეხლანდელი წირვალოცვის ვითარება ზოგი მღვდლების ხელში, იწყებენ ქართულად, მერე სლავიანურზე გადადიან, ან რომ მლოცავს რალაცა თამაშობას მოაგონებს და სასოება ეკარგება. დლოცვილებმა ან სულ სლავიანურად შეასრულონ, ან სრულებით ქართულად, დომხალივით არევა გალობასაც რეგს და უშლის. არამგონია, რომ არეულ-დარეულ წირვალოცვის აკრძალვაში ვინმე მოიძღვრონ, თუ ერთბაში შეუძლებელია წირვა, შეიძლება ერთი კვირა ქართულად იყოს, მეორე სლავიანურად, ხოლო აურევ-დაურეველი, არეულ წესის ასრულებაში ვერც რუსი ლოცულობს და ვერც ქართველი როგორც გული თხოულობს. (ამოგზაური“)

შუჩნალ-გაჯითმებიდან.

მართლ-მადიდებლობისაგან განდგომილ რუსეთის მწვალებლების ყოფა-ცხოვრების დინჯმა მკვლევარმა მწერალმა ა. პრუგაიენმა საინტერესო მოხსენება წაიკითხა პეტერბურგის საგეოგრაფო საზოგადოებაში. პრუგაიენმა განსაკუთრებით აღნიშნა ის გარემოება, რომ მთავრობა და სამღვდლოება დღეს სასტიკად ეკიდება მწვალებლებს და სრულებით არ იკვლევს, თუ რა მიზეზთა გამო განიდა ეს მოძრაობა რუსეთში რა აიძულებს მწვალებლებს მართლ-მადიდებლობისაგან განდგომას. მართლ-მადიდებლობა არ აკმაყოფილებს მწვალებლების სულიერ მოთხოვნილებას. ისინი თავისუფლად, დამოუკიდებლად იკვლევენ საღვთო წერილს, ექვს თვლით უყურებენ იმ წესწყობილებას, რომლის დედა ბოძია მართლმადიდებლობა, სხვა გზებს ეძებენ ცხოვრებაშიო. არსებულ სარწმუნოებისაგან განდგომა იმას ნიშნავს, რომ რუსეთის გლეხი საზოგადოდ თავის მდგომარეობით კმაყოფილი არ არის; ყოველ მხრით შევიწროებული, იგი ამ შევიწროების მიზეზს იკვლევს და თავისუფალ სარწმუნოების შექმნა სწადიან.

რუსის მწერლებს ბევრი უწერიათ სექტანტების

გარეგნულ ყოფა-ცხოვრების შესახებ, მაგრამ ღირსი დაკვირვებით არ გამოუკვლევიათ ამ მოძრაობის ძირითადი მიზეზები. ამის მიზეზი ცენზურაა, რომელმაც დუმისლის ბორკილი დაადა რუსის მწერლობას. საეკლესიო არსებები, სადაც მრავალი ფრიად საყურადღებო მასალა ინახება რუსეთის მწვალებლობის შესახებ, კერძო საერო პირთათვის დახურულია. რუსეთის მწვალებლობის მიზეზები დიდხალ დაწვრილებით გამოკვლევულია უცხოეთის მწერლობაში.

სამღვდლოება იმასაც არ აცხადებს, თუ რამდენი მწვალებელი მთელ რუსეთში, —ჭეარავს ქეშმარიტებს, ამტიციებს 2 ან 3 მილიონის მეტი არ იქნება, კერძო პირთა გამოკვლევით კი მწვალებელთა რიცხვი 14 მილიონამდე აღის.

დენა-შევიწროებამ გაწვრთნა მწვალებლები. კავშირი დაბადა მთ შორის, სხვა-და-სხვანაირი გზები გაუხსნა ამ დენის ასაცილებლად. გარეგნული ზომები ამ მხრივ უძღუდნენ არიან. თავისუფალ მკვლევარის შეზღუდვა მხოლოდ დროებით შეიძლება.

ასე დასრულა პრუვაგინმა თავისი ფრიად საყურადღებო მოხსენება, რომელსაც დამსწრე საზოგადოება მხურვალე თანაგრძობით და ტაშის ცემით მიეგება.

* *

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ისტორიაში განსაკუთრებული ხანა დამდგარა ყოველთვის მე-60 წლებში და ყოველ ახალ საუკუნის დასაწყისში. მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ, გავიხსენოთ: რევოლუციური მოღვაწეობა პეტრე დიდისა მე-XVIII საუკუნის დასაწყისში, ეკატერინე მეორის რევოლუციური იმევე საუკუნის მე-60 წლებში, ალექსანდრე I-ლის მოღვაწეობა მე-XIX საუკუნის დასაწყისში; იმევე საუკუნის მე-60 წლებში ალექსანდრე მეორის რევოლუციური; ეხლა კიდევ (მე-XX საუკუნის დასაწყისში) მომავალი რევოლუცია. ერთ ხანიდან მეორემდე ახალ-ახალი თაობა იზრდება, ახალი მოთხოვნილება და სდგება კიდევ „გაზაფხული“, ე. ი. პოლიტიკური განახლება...

რუსის საზოგადოება ერთი საუკუნეა გონებრივად სცხოვრობს ჭე შეუძლებელია ამგვარი ცხოვრება უნაყოფოდ დარჩეს. ამ ხნის განმავლობაში, უძველესი, რუსის ერმა შექმნა რაიმე განსაკუთრებული, რაც ეხლა საქმეში უნდა გვიჩვენოს;

იმისმა დიდებულმა მწერლებმა — პუშკინმა, გოგოლიმა, ტურგენევმა, დოსტოევსკიმ, ტოლსტოიმ, — ისტორიკოსებმა — სოლოვიოვმა, კარამზინმა, კოსტომაროვმა, კლიუჩევსკიმ, კრიტიკოსებმა — ბელინსკიმ, ვლ. სოლოვიოვმა, პუბლიცისტებმა — ასაკოვმა, ხომიაკოვმა, ჩენჩინმა, გრადოვსკიმ და სხვა ნიჭირ მწერალ-მკვლევარებმა დასთესეს სასარგებლო თესლი, რომლის ნაყოფი ეხლა უნდა მოვიწყოთ; შეუძლებელია, რომ იმთა შორის რაიმე არ გეგეკთებინა და მართლაც, დღეს ჩვენი ერი მომწიფდა, გაღონიერდა; მის თამადა შეუძლია ნდობა მოიპოვოს და თავისუფლად აწარმოვოს თავისი საქმე. თვით უზრუნველად გასულ საუკუნეში სულიერად გაღონიერდა და შეუძლია თავისი სიტყვა სთქვას, თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში. განადრო არ არის აღვიაროთ, რომ სწორედ იმ ბიუროკრატიზმა, რომელიც ეხლა დაბალ დონეზე გახდა, — იმ ბიუროკრატიზმა, на который теперь впадают всехъ дохлыхъ сѣнахъ, ყველაფერი გარყვნა, გახარწნა, თვით ერობაც «ჩინოვნიკურ» თვისებებით გააფუჭა! განადრო არ არის აღვიაროთ, რომ მხოლოდ ერის მიერ თავისუფლად ჩანკუდებს შეუძლიათ სთქვან — ხალხის ინტერესების ნამდვილი დამცველები ვართო?! ზოგიერთები სთხზავენ პროექტებს და ამტიციებენ: საქმარისა 34-60 წარმომადგენლებს დაუძახოთ და იმთაგან უზრალა სათათბირო დაწესებულება შექმნათო; მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვა, ხელოვნურად შეზავებულის დაწესებულების გარდა. ეხლა ჩვენთვის საჭიროა უფრო დიდი რამ, უფრო დამოუკიდებელი, უფრო ფართო და მთელის ერისათვის უფრო სასარგებლო! საჭიროა, ქვეყნის წარმომადგენლები ჰყავდეს. როცა 1902 წლის აპრილში ვ. კ. პლევეს ვესაუბრებოდი და „ზემსკი სბორა“-ზე ჩამოუგდევ ლაპარაკი, როცა უთხარ — საჭიროამეთქი პარლამენტი თუნდა 200-300 კაცისაგან შემდგარი — მიპასუხა: „შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში შეიძლება ერის წარმომადგენლობაზე ლაპარაკი, მაგრამ გაზეთში არა“-ო; როცა ლორის-მელიქოვი გავახსენე მითხარ: დრონი, იცვალენო: მაშინ შეიძლება მაგაზე ფიქრი, ეხლა-კი არაო. მაგრამ პლევე შესცდა; მართლა იცვალენ დრონი და ეხლა სწორედ საჭიროა ერის წარმომადგენლობა. მართლაც, ეხლა ყველა ამაზე ლაპარაკობს. უნივერსიტეტების წყალობით წიგნებიდან, გაზეთებიდან, ევროპის



ცხოვრების შესწავლით ყველამ ვიცანით, რა არის წარმომადგენლობითი მმართველობა, ყველანი ყურადღებით ვკითხულობთ და ვსწავლობთ დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას, იქაურ პოლიტიკურ პარტიების ბრძოლას. იქაურ პოლიტიკურ მოღვაწეებს ჩვენ უფრო კარგად ვიცნობთ, ვიდრე ჩვენებურ გაჩუმებულ სახელმწიფო მოღვაწეებს. მე მსურს და მოველი სწორედ ასეთს გაზაფხულს, რომელიც ამგვარავე ცხოვრებას დაგვიყარებს. მე მსურს ევოლიუცია და არა რევოლიუცია თავის საშინელებითა; მსურს, რომ მშვიდობიანიად აღსრულდეს ის, რაც საქართველისათვის. ჩვენს ქვეყანას ბევრი რამ ესაჭიროება, მაგრამ უწინარეს ყოველისა ესაჭიროება თავისუფლება, თავისუფალი თვთმობაქმედება, განთავისუფლება ბიუროკრატიულ ფორმალიზმისაგან!..

* * *

ზოტ-ანტურას სიმაგრეები. (რუსეთი ვედ.)-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. განაგრძობს: «ზღვიდან პორტ-არტურს ორი ჯგუფი ფორტი იცავს: დასავლეთიდან ვეფხვის ნახევარ-კუნძულის ფორტები, აღმოსავლეთიდან ოქროს გორისა და სხვა ფორტები. რაღაც ზღვის ნაპირის მდებარე ფორტები პორტ-არტურს ხმელეთიდან ვერ იცავენ, ამიტომ ამ ფორტებს-მოკლედ მოვიხსენიებთ. ვეფხვის ნახევარ-კუნძულზე 7 ფორტი და ბატარეიაა, აღმოსავლეთ მხარეს—9 ფორტი და ბატარეია, სულ ზღვის მხრიდან პორტ-არტურს 16 ფორტი და ბატარეია იცავს. სულ საერთოდ ზღვიდანა და ხმელეთიდან პორტ-არტურს 86 სიმაგრე იცავს; ამ სიმაგრეებზე ტრაიმისია ანგარიშით 100-მდე ნაირ-ნაირი ზარბაზანი აწყვია, მაქსიმის წვრილ ზარბაზნიდან 12 დიუმიან ზარბაზნებამდე; 12 დიუმიანი ზარბაზნები 9—10 ვერსტის მანძილზე ისვრიან. ამ მოკლე აღწერიდანაც სჩანს, რომ პორტ-არტური უძლიერესი ციხეთაგანია მთელს ქვეყნიერობაზე და არა შედარებით პატარა, მეორე ხარისხისაგან ციხე, როგორც წინააღმდეგობა, როდესაც არაფრითაა სწორედ ცნობა არ გვექონდა პორტ-არტურის სიმაგრეებზე. დასასრულ, უნდა გავიხსენოთ ლიაოტეშანის ფორტების ჯგუფიც. ეს ფორტები ნამდვილად ცალკე პატარა ციხეს შეადგენენ. ლიაოტეშანის მთას 550 მეტრის სიმაღლე აქვს; ამ მთასა და თეთრის მგლის გორის ფორტის შუა ღრმა და ვიწრო ხეობა ჩადის;

ლიაოტეშანს ზღვისა და მტრედის ბუხტის მხარეს მეტად ფრიალო ფერდობები აქვს. ეს პოზიციები ბუნებრივად მეტად მაგარი იყო, ორ უკანასკნელ წელიწადში ხელოვნურადაც გამაგრეს და „ტაიმი“-ს კორესპონდენტის აზრით, თითქმის მიუვლი ციხე გახადეს. ლიაოტეშანი 10 ვერსტის მანძილზე მდებარეობს ქალაქიდან და 6—7 ვერსტის მანძილზე ციხის ჩრდილოეთ-დასავლეთის ფორტებიდან, ამიტომ ლიაოტეშანის ფორტები ხმელეთიდან ვერ დიდავენ პორტ-არტურს. ლიაოტეშანის ფორტები პორტ-არტურის გარე რეიდის სამხრეთ ნახევარსა, მტრედის ბუხტასა და აქედან ქალაქისაკენ მიმავალ გაზს იცავენ. სანამ ლიაოტეშანი რუსების ხელშია, იაპონელები დიდ ჯარს ვერ გადაიყვანენ მტრედის ბუხტაში, თეთრის მგლის გორის ფორტს ვერ დაიქვრენ და ვეფხვის ნახევარ-კუნძულს ზურგიდან ვერ მოექცევიან. ამბობენ, რუსის მეციხოვნე ჯარი უკანასკნელ წაშს ლიაოტეშანის მთას შეეფარებაო; მაგრამ ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რაოდენისავე ათას კაცის საცხოვრებლად ბინა, სამხედრო მაღაზიები და საწყობები აქვთ რუსებს დამხედრებული ლიაოტეშანზე, თუ არა. ყოველ შემთხვევაში, გინდ გენ. სტეფელმა ლიაოტეშანი შეინარჩუნოს, იაპონელები მაინც თავისუფლად იბატონებენ ქალაქსა და ნავთსადგურში. 10 ვერსტზე მხოლოდ 12 დიუმიანი ზარბაზნი აწვედნენ ყუმბარას, ასეთ ზარბაზნების ატანა კი ლიაოტეშანის ფრიალო კლდეებზე შეუძლებელია. ამას გარდა, ვეფხვის ნახევარ-კუნძულის გორები ცოტათი იცავენ შიდა რეიდს ლიაოტეშანის მხრიდან».

რუსის გემების დასასწრაფი ზოტ-ანტურში. იაპონის საზღვაო არტილერიის უფროსი 26 ნოემბერს იუწყებოდა: 26 ნოემბერსაც ზარბაზანს უშენდით რუსის გემებს. „ბაიანი“ ცეცხლის აღში გაეხვია, 25 გრადუსზე გადახარა და თითქმის გადაბრუნდა. (რეტეზიანი) და „პოლტავა“ კაპიტნის კომანდოზე წყალში დგანან. «ვალდა»-მა და „პოპედა“-მ ძლიერ გადახარეს გვერდზე; წყალი რომ მატულობს, გემის ზემო პალუბას ვაიკებს ხოლმე, «პერესეცა», გალერეებამდე და სანდამე აპარატამდე წვედება წყალი. (გილიაი) ზედ ნაპირთან წეეს ძლიერ გადახარული; ჰეიქრობენ, «გილიაი» ნავთსადგურის ფსკერზე (ძირზე) დგასო. «სვესტოპოლ»-მა გათენების ხანს აღვილი ინაცვლა, გარე რეიდს მოუახ-



ლოვდა, რომ ჩვენი ყუმბარები ნაკლებად მოჰხვდეს. იაზონის საელჩომ ლონდონში ტოკიოდან 26 ნოემბერს მიღებული დღეშა გამოაცხადა: «პალადას» ცეცხლი წავიკადა; კრესიერი გვერდზე გაღიხარა და ბოლო დაუშო. «გილიაკ»-ს 11 ყუმბარა მოხვდა. «ბაიან»-ს დილის 11 ს. 30 წ. ცეცხლი წავიკადა და ნაშუადღევს 4 ს. 15 წ. კრესიერს მთლად ცეცხლის ალი მოედო. საზღვაო არტილერიის უფროსი იუწყება. «ამურ»-ს 14 ყუმბარა მოხვდა და ჩაიძირაო. ბევრი ყუმბარა ბლიუშანს ახლო საწყობებსა, სხვა შენობებსა და არსენალებს მოჰხვდა. (რ.)

«რუსკია ვედომოსტი»-ს სამხედრო მიომიხილველი ბ. ს. კ. განაცხობს პორტ-არტურის შტურმის აღწერას: «იაპონელებმა, ალბად, ორის მოსაზრებით მიიტანეს შტურმი დასავლეთ ფორტებზე. გინდ ჩრდილოეთ ფორტების (სინ-შუშანი, ერლუნ-შანი და კიკან-შანი) გლასისები და კონტრ-ესკარპები (კონტრ-ესკარპი—თხრილის წინ კედელია, გლასის-თხრილითა და ყრილი მიწა) აელოთ, იაპონელებს მეტად გაუჭირდებოდათ უქანასკნელ დაბრკოლების დაძლევა—6—7 საჯის სიღრმე და ამავე სიგანე თხრილებისა და მალად კედლების აღებაც დასჭირდებოდათ. დასავლეთ ფორტების აღება კი უფრო ადვილი საქმეა, რადგან ეს ფორტები უფრო სუსტია და შედარებით უკეთესი მისაველიცა აქვთ დასავლეთიდან. ჩრდილოეთი ფორტები თითქმის ფრიალო კედლებზეა გამართული და პალიჩუნის ველს მალდიდან დასყურებენ. სტოლის გორები კი თან და თან დაბლდებიან ლეიზასა და მტრედის ბუტისაკენ; ამიტომ დასავლეთ მხარეს რთული საინჟინერო მუშაობა საჭირო აღარ იყო. მეორეს მხრით გენერალ ნოვის პირველი და უმთავრესი მიზანი პორტ-არტურის ესკადრის განადგურება იყო. ამ საქმისათვის სტოლის გორები უფრო გამოასდევია, ვიდრე ვეშაბის ქედის გორები, სადაც ჩრდილოეთი ფორტებია გამართული. ნავთსადგურიდან ორივე ქედი ერთ სიშორეზე მდებარეობს (4—5 ვერსტის მანძილზე), მაგრამ სტოლის გორებს უფრო ვაკე ფერდობები აქვს ზევით მხრიდან, ამიტომ აქ უფრო ადვილად და სწრაფად შეიძლება დიდის ზარბაზნების დაღება, ვიდრე ერლუნ-შანსა ან კიკან-შანზე. ამას გარდა, 203 მეტრიან გორიდან—სტოლის გორებში ეს ყველაზე მაღალი გორაა—პორტ-არტურის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნავთ-სადგურის მომეტებული ნაწილი კარგად სჩანს, ერლუნ-შანისა და სუნ-შუშანიდან-კი ზარბაზნის სროლას მართლმწიფის გორა დაუშლის, რადგან ეს გორა ერლუნ-შანისა და შიდა რეიდს შუა მდებარეობს. ამიტომ იაპონელების უქანასკნელი გამარჯვება იმდენად უნდა დაფასდეს რამდენადაც სტოლის გორის პოზიციებიდან მარჯვედ დაუშენენ ზარბაზნის და დაზიანებენ, რუსის გემებს პორტ-არტურში. რასაკვირველია, თითონ ციხის დაცვისათვისაც უმნიშვნელო არ იქნება მთელ 5—6 ვერსის მანძილზე გამართულ პირველ რიგ სიმაგრის (რკინის გზიდან ტაიხიკოს ფორტამდე, თითქმის ზღვამდე) დაკარგვა. როგორც იაპონურ მოხსენებიდან სჩანს, გენ. ნოვის 13 ნოემბრიდან 18 «ვისოკაია გორა» (რკინის გზის გვერდზე), 203 მეტრიანი გორა და იმის სამხრეთით წითელი გორა (ოკაზამა) აუღია; ცხადია, ამ სიმაგრეებ შუა მდებარე გძელ გორის («დლინაია გორა») ფორტებიც იაპონელებს ჩაუვარდებოდა ხელში; ეს იქიდანაც სჩანს, რომ რუსის მეციხოვნე ჯარს გორის რიგ ფორტებისაკენ—ანძქვანისა და იტიძი-შანისაკენ დაიხვედია. როგორც რუსულ პრესაში აღნიშნული იყო კიდევაც, პორტ-არტურის ხმელეთის სიმაგრეების დაცვისათვის 203 მეტრიან გორისა და იმის მეზობლად გორების აღებას მხოლოდ იმ მხრივ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ სტოლის გორის პოზიციებიდან იაპონელები გვერდიდან, ფრთიდანაც დაუშენენ ზარბაზნს პორტ-არტურის აღმოსავლეთ ფორტებს. მართლაც, 203 მეტრიანი გორა სულ 4 1/2—5 ვერსტის მანძილზე მდებარეობს ხუნ-შუშანიდან და დასავლეთ ერლუნ-შანიდან, მაგრამ ერლუნ-შანისაკენ ზარბაზნის სროლას «ვისოკაია გორა» დაუშლის, რადგან ეს გორა სწორედ ერლუნ-შანისა და 203 მეტრიან გორის შუა მდებარეობს. სან-შუშანს-კი, როგორც «ტიმსა»-ის კარტიდან სჩანს, მართლაც ფრთიდან დაუშენენ ზარბაზნს 203 მეტრიან გორიდან. ერლუნ-შანს-კი გძელ გორის პოზიციებიდან დაუშენენ ფრთიდან ყუმბარას; გძელი გორა ერლუნ-შანიდან 3 1/2 ვერსზე მდებარეობს დასავლეთისაკენ. გვერდიდან ნასროლი ყუმბარა გაცილებით მეტად დაზიანებს ფორტსა, ვიდრე ფრთიდან (წინიდან, შუბლიდან) ნასროლი, რადგან ფორტის სანგრებს მხოლოდ წინა მხრიდან აქვთ



საფრები, ფრთიდან კი არა. ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ იაპონელები სტოლის გორებზე მიიმეზარბაზნებს დასდამენ და არა თუ მარტო ნავოსადგურს, ციხის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფორტებსაც დაუშენებენ. სტოლის გორიდან განსარდლიო ყუმბარა აღმოსავლეთ ფორტებს (კიკ-ვანსა და კიკ-ვანს) ზურგიდან-კი უფრო ნაკლებს დააკლებენ, რადგან ეს ფორტები ძველ და 203 მეტრიან გორიდან უფრო შორს, სულ მცირედ 7—8 ვერსის მანძილზე მდებარეობენ. თავის მხრივ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარიც ხელახლად ბეჯითად ეცდება სტოლის გორის პოზიციების დაბრუნებას, ან იაპონელებს ბევრ ზარბაზნის დაღმას მინი დაუშლის ამ პოზიციებზე გენ. სტესელმა თითქმის ათჯერ მიიტანა იერიში, მაგრამ ვერას გახდა. აქედან ჩანს, რომ ძალ და ძალ სტოლის გორის პოზიციების დაბრუნება შეუძლებელია: იაპონელებს პორტ-არტურთან მეტი ჯარი ჰყავთ და მეტი ძალა აქვთ. მაგრამ გენ. სტესელს შეუძლია სტოლის გორებს მემოზბელ გორებიდან დაუშინოს ზარბაზანი, სახელდობ უდაშინიდანა და ტაიაკოუდან (სამხრეთიდან) ან შემანიდანა და იტიშანიდან (აღმოსავლეთიდან). ამ არტილერიის ბაქოლის შემდგევე იქნება დამოკიდებული გენ. ნოვის მომავალი მოქმედებაც“.

«რუსკოე სლოვო»-ს კორესპონდენტი ბატონი კლიპკოვი დღევანდელ იუწყება მუკდენიდან: მთავარ-სარდალმა თავისუფალ მთიელებს (კავკასიელებს) ჩერქეზულ ტანისამოსზე იარაღის ტარება აუკრძალა-თო“.

ბ. ნემიროვიჩი დანჩენკო სწერს: არც ერთის ომის დროს არა ყოფილა იმდენი სულით ავადმყოფი, როგორც ესლაა. რა მიზეზითა ხდებიან ავად, არ ვიცი; დაშიცავს შემდეგ ორ კვირა ნახევარში სულ მცირედ 241 კაცი გაგიჟდა. ბინასაც ვერ შოვობდნენ ამ ავადმყოფებისათვის, წითელმა ჯვარმა“ უფრო განაცხადა, ვერ მივლდებ გიყვებსო, მაგათთვის აღდგომა არა მაქვსო. გიყვებს ხომ სხვანაირი სადგომი უნდა და ამას გარდა თითოს სამ-სამი დარაჯი მინცა სჭირდება. ზოგიერთი გიყი პოლკოვნიკმა საფონოვმა დააბინავე, დანარჩენი რაღა იქნა, დღესაც არ ვიცი.

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი დღევანდელ იუწყება მუკდენიდან: რუსის სალდათებს და აფიცრებს საცელები აკლიათო.

რუსის სალდათის ნახაზობა. ბ. ნემიროვიჩი-დანჩენკო სწერს: „ერთმა რუსის სალდათმა პოზიციასზე დამე მიამბო: «ციმბირის გზით გვერკებოდნენ მანჯურიაში, ვაგონიდან აქეთ-იქით ვიხედებოდი. ღმერთო მაღალა, რამდენი უდაბური ადგილი გვექონია ჯერა. ვინ აუვა ამდენ მიწას. მარცხნივ, თუ მარჯვნივ სულ თვალ-გაღწევიდნელი მიდებოდა იყო გადაქიშული, საზღვარი არა ჰქონდა მიწას. ჯერ კვალიც არავის გაუვლია ამ უდაბურ მიწებზე... ჩვენთვის რა საჭიროა ახალი, სხვისა ადგილები... აი თუნდ მანჯურია ავილოთ; რა ეშმაკად გვინდა? აქ ყოველი ფეხის გადადგმა მოხსული და დათესილია. სოფელი სოფელს აკრავს, სახლი სახლს. ვინ დაგვიბარა აქა, ვის რად უნდოვართ აქა?“

ბ-ნი ნემიროვიჩი-დანჩენკო უმატებს: «არ გვეგონათ, რომ მხოლოდ ერთის სალდათისაგან გამეგონოს ესა. ვერც კი დავთვო, რამდენჯერ გამოგონია ამ ომის დროს ასეთი ლაპარაკი. წინად უბის წიგნში ჩავიწერდი ხოლმე, მერე კი მომბეჭრდა. აფიცრებზე ხომ აღარ ვამბობ. აფიცრებს დღემდე ვერ გაუვლიათ, რისთვის მოსულან მანჯურიაში. უბრძანებენ, აფიცრებიც, მეტი რა ღონეა, იხოცებიან, მაგრამ ფიქრსაც ხომ ვერ დაუშლიან»...
*
*

გაზეთები უპასუხებენ გინგამუტს ლე მეწიერისკის, ცილის წამება თქვენი აზრი, ვითომ ჩვენი ხალხი და საზოგადოება მზად არ არიან თვითმართველობისათვის, არ მომწიფებულანო და სხვა. ამის გამო «ნოვოტი» ამბობს:

«საკვირველია ჩვენი საქმე: თუ «მოუმზადებელია» და «მოუმწიფებელია» ინტელიგენტმა ჩიცვა მოხელის ვიცე-მუნდირი და უფიცმა «მუყიკმა» პოლიციელის ფორმა, ისინი მაშინვე მწიფდებიან პოლიტიკურად და ყოველგვარ მოღვაწეობისათვის გამოსადგარნი ხდებიან. სანამ ინტელიგენტს ვიცე-მუნდირი არ ჩაუცვამს და «მუყიკს» — პოლიციელის ფორმა, ისინი არაფრისათვის მზად არ არიან და იმათ სახელმწიფო ვერ ანდობს ვერავითარ საქმეს; ხოლო როცა ფორმებში გამოიკიბებიან, რაღაც საკვირველის განგებთ ნდობის ღირსნიც ხდებიან და მომწიფებულ მოღვაწეებადაც; მაშინ არავინ არ ამბობს მათზე — მზად არ არიანო! ასეთი საკვირველი ლოლივა აქვთ ჩვენს რეაქციონერებს... ისინი დიდის რიხით გაიძახიან, ხალხი არ არის მზად სახელმწიფო

ახალი ამბები და შენიშვნები.

(გაზეთებიდან).

საქმეებში თვითმართველობისათვისა; თუ ლოდიკურად ჰსურთ საქმის განსჯა, მაშინ არც მცირე, ადგილობრივ, საქმეებში უნდა სწამდეთ თვითმართველობითი პრინციპი. მართლაც, უფრო გულწრფელი რეაქციონერები მტრები არიან არა მარტო სახელმწიფოს თვითმართველობისა, არამედ არც ერობისა, არც ქალაქის თვითმართველობისა, არც საგლეხო თვითმართველობისა სწამთ რამე. იმათთვის ნდობის ღირსი არავინ არ არის, გარდა მოხელისა და პოლიციელისა. არც-კი დამფქრდებიან ერთ წამს: შეიძლება თუ არა ნომალური ფანჯითარება მარტო ბიუროკრატის წყალობით? უთვითმართველობოდ შესაძლებელია მხოლოდ ბიუროკრატის მეფობა და არა სახელმწიფოს ნორმალური ცხოვრება. ტყუილად-კი არ ამბობდა იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე, რუსეთის ნამდილი მმართველები „სტალიანაზონიკები“ არიანო... მერე, ვინ არიან ეს ბიუროკრატები, რომელთა ყველაფერი გაეგებათ, ყველაფერში სანდობნი არიან, მომწიფებულნი და სხვა? ვინ არიან — განსაკუთრებულის ტომის ხალხია, რუსეთში ჩამოსახლებული, თუ საზღვარ-გარეთიდან საგანგებოდ გამოწერილი ახალ დროის „ვარიაგები“? ანა, ეს ბიუროკრატები იმავ საზოგადოების და ხალხის ღვიძლი შეილნი არიან, რომლებს რეაქციონერები მოუშაადებლობას უკიციენებენ. ამიტომ, რეაქციონერთა რწმუნება, ჩვენს ერს სახელმწიფო საქმეებს ვერ ვინდობთო, რადგან ჯერ მოუშაადებელიაო, სიტყვის ბანზე ავდებდა და სხვა არაფერი; თუ ერთი მოუშაადებელია, მისგან შობილი ბიუროკრატიაც მოუშაადებელი უნდა იყო!

* *

«რუსკია ველომოსტ»-ის სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. განაგრძობს: «როგორც წინა წერილში ვსთქვით, რუსეთის ფლოტი წყნარ ოკეანეში ვერ გაიმარჯვებს, თუ აღმ. როკეტვენსკის მეორე ესკადრას შესაძენ ესკადრასაც არ მიაშველებენ. მესამე ესკადრას დახლოვებით უნდა ჰყავდეს 25—30 ჯავშნიანი გემი და კრესერი, ამათ შორის 4 საესკადრო ჯავშნიანი გემი პირველ კლასისა, 8—10 ჯავშნიანი გემი მეორე კლასისა და 12—16 კრესერი; თუ ერთი სამად მეტი გემი არ ეყოლება იმაზე, რაც ეხლა ჰყავს, აღმ. როკეტვენსკის.



* * 7 დეკემბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაიჩნა იმათი საქმე, ვისაც ყალბ თავად-ზნაურობის საბუთების შედგენა ბრალდებოდათ. სულ დაბარებული იყო 21 ბრალდებული და 226 მოწმე.

* * „ნოვ. დნ.“-ს სწერებ პეტერბურგიდან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ახალი გაზეთის «რახვეტა»-ის გამოცემის ნება მისცა თუ. უხტომსკის, რომელსაც ამ ორი წლის წინად აეკრძალა გაზ. „ს. პეტ. ვედ.“-ს რედაქტორობაო.

* * „ს. პეტ. ვედ.“-ს სიტყვით, პროვინციაში უკვე შემუშავებულია გეგმა კერძო კრებისა, რომელმაც უნდა შეადგინოს შუამდგომლობა სრულიად რუსეთის ყურნალისტების კრების მოწვევის შესახებ. ამ საქმის მოთავე გაზ. „ორლოვსკი ვესტნიკ“ -ია.

* * 28 ნოემბერს არიოლში საგუბერნიო საერობო კრება მოხდა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრა. 80-მდე მოხსენება იქმნა წაკითხვული. საინტერესო მოხსენება იყო: „ადმინისტრაციის თვითნებობა საერობო მოსამსახურეთა დამტკიცების დროს“, «საერო განათლების პირობები» და სხვა.

* * ტენიშევის სასწავლებელში 28 ნოემბერს მოხდა მასწავლებელთა საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრნენ ცნობილი პედაგოგები, მწერლები მეცნიერები ლ დიდძალი საზოგადოება. სხვათა შორის, კრებაზე აღძროს ლაპარაკი საერო განათლების ფონდისა და თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების მოსალოდნელ უფასოების შესახებ. კრებამ გადასწყვიტა, დღეს უღროოა საერო განათლების თანხის შესახებ სჯა-ბაასი, რადგან მოახლოვებულია რუსეთის საზოგადო წესწყობილების საყურადღებო ცვლილებათა.

* * სტესსელმა 2 დეკემბერს შემდეგი წერილი გაუზავნა ნოგის: „პატივი მაქვს გაუწყუთ, რომ თქვენი არტილერია ზარბაზნებს უშენს ჩვენს საავადმყოფოებს, რომლებზედაც თვალ-ცხადადაა ამართული წითელი ჯვრის დროშები. ეს დროშები თქვენის არტილერიას პოზიციებიდან სჩანს. გთხოვთ შესწყვიტოთ ამნაირი სროლა. პატივისცემა მამაც მყო მართა მიმართ, რომელნიც ამ საავადმყოფოებში

დაქრილები წვიან, მიძილებს მოგმართოთ ამგვარის თხოვნით. ჩვენ დაქრილთა შორის იაპონელი დაქრილებიც არიან. ესარგებლობ ამ შემთხვევით, რათა გამოგიცხადოთ სრული პატივისცემა“. —ნოვის პასუხი: «პატივი მიქვს დაგარწმუნოთ, რომ ალყის შემორტყმიდან დამოკიდებული, იაპონიის არმიას, კაცობრიულის გრანობით გამსქვალულს და შესაფერ შემთანხმების დამცველს, განზრახ არ უსრლოია არც შენობისა და არც გემებისათვის, რომლებზედაც წითელი ჯვრის დროშა ამართული; ხოლო ციხის უდიდესი ნაწილი არ ჩანს ჩვენ საარტილერიო პოზიციებიდან, ამიტომ ყუმბარები ყოველთვის არ ეცემა დანიშნულ ალყას, მით უმეტეს, რომ ციხის მამაცი დაცვის გამო, ჩვენი ზარბაზნები სულ უფრო და უფრო სცდება მიზანს; ამიტომ ძლიერ ვწუხვარ და არ შემიძლია პირობა მოგკეთ, რომ ჩვენი ყუმბარები მხოლოდ დანიშნულ ადგილს მიხვდებან. ესარგებლობ შემთხვევით გამოგიცხადოთ ჩემი ღრმა პატივისცემა“ სტესელისაგან ნოვის რწმუნებულთან მიორ ტატიკასთან მოსალაპარაკებლად მიგზავნილმა ბალაშეგმა სთხოვა, ნუ უშნეთ ყუმბარებს მთელ ახალ-ქალაქსა და ძველ ქალაქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილსაო. ტატიკამ უპასუხა, ვერა გზით ვერ დავაკმაყოფილებ თქვენს თხოვნასაო.

* ამ ბოლო დროს დიდძალი რუსობა გადმოდის ჩვენ ქვეყანაში დასასახლებლად. ბალაჯარაში სცხოვრობს განსაკუთრებული მოხელე, რომელიც რუსებს უხვდება და სხვა-და-სხვა ადგილას ჰგზავნის. იქვე სადგომია გადმოსახლებულთათვის. ამ მოხელემ ეხლა-ხან აცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, რომ სადგომი გადმოსახლებულთათვის არა გვეყოფნისო, და სთხოვა ოთხი ვაგონი. გზის უფროსმა გაგზავნა ოთხი ვაგონი ფენებით მოწყობილი.

* * * ფინლიან. ვაზ. — ში დაბეჭდილია: „ვაზ. „რუს“-ის მე-317 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი პ. არტემიევისა, რომელშიაც გაიკისხული იყო ფინლიანდის განსვენებულ გენერალ-გუბერნატორის ბობრიკოვის მოღვაწეობა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ წერილის გამო სასტიკად გაჰკიცხა ვაზ. „რუსი“.

* * * სამღვთო წერილის გამავრცელებელმა ლონდონის საზოგადოებამ გამოცხადბადების თარგმანი მალდროსიიულ ენაზე, ამ თარგმანის რედაქტორმა პრაგის უნივერსიტეტის პროფესორმა

პოლოდამ პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას მიმართა თხოვნით, ნება მიეცათ დაბადების ამ თარგმანის რუსეთში გასავრცელებლად. აკადემიამ სინოდს გადასცა და სინოდმა უარჰ ა პოლოდის შუამდგომლობა.

* * * ამ დღეებში ფოსტის უწყებებს გაეგზავნათ ცირკულიარი იმის შესახებ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში ხალხისთვის არ არის საყალბეულო ქულის მოხდა.

* * * პროვინციალურ გამოცემათა წარმომადგენლებს კრებამ საჭიროდ სცნო კრესეთის ბექვლით სიტყვის სფეროში მოღვაწეთა კრების მოხდენა და სთხოვა პეტერბურგის ჟურნალისტებს, რაც შეიძლება, ჩქარა მოაწყონ ეს საქმე.

* * * პეტერბურგიდან დღევით აუწყებენ „რუს. ვედ. ა. ს., რომ 30 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა პეტერბურგის ჭ მოსკოვის ვეჭილთა საბჭოების ყველა წევრი, რომელთაც უნდა გადაეცათ მინისტრისათვის ვეჭილთა კრების დადგენილება. მინისტრმა მიიღო მხოლოდ საბჭოების თავმჯდომარეები — ტურჩანინოვი და ნევიადომსკი, საჩქაროდ წაიკითხა ტურჩანინოვის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია და ჰკითხა ნევიადომსკის: „თქვენც ამგვარივე ქაღალდი გაქვთ?“ — დაიღ, — უპასუხა ნევიადომსკიმ. მაშინ მინისტრმა გამოუცხადა, ვერ მივიღებ თქვენს რეზოლიუციას, რადგან სახელმწიფოს წეს-წყობილების შეცვლას თხოულობთო.

* * * ტოკიო, 11 დეკემბერი („რეიტერი“). ტოგო იუწყება, რომ იაპონიის ფლოტის უდიდესი ნაწილი წაივდა პორტ-არტურისიდან.

* * * ლონდონიდან იუწყება „რეიტ. საგენტო“ 11 დეკემბერს, იაპონიის მისიის ცნობით, პორტ-არტურის სააღყო არმია იუწყება, რომ მარჯვენა არმიის რაზმმა დაიჭირა გორა ხოიანშუკოს დასავლეთით. რუსებმა მედგარი იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. იაპონელები უეჭველად დაიჭერენ პოზიციას. ეს გორა მდებარეობს 203 მეტრიან გორის სამხრეთით, 1 1/2 მილის მანძილზე.

* * * ვაშინგტონი, 10 დეკემბერი („რეიტერი“). გამოქვეყნებულია სახელმწიფო მდინის გეის ნოტის ტექსტი, რომელშიაც აუწყებენ, იმ სახელმწიფოებს, რომელმაც ხელი მოაწერეს ჰაავის კონფერენციას, ჰაავის მეორე სამშვიდობო კონფერენციაზე მიწვევის მეგობრულად მიეგებნენო. ნოტაში მოთავსებული

შინარსი ცალკე სახელმწიფოებისაგან მიღებულ პასუხებისა, სხვათა შორის, რუსის მთავრობის წინადადებაც ი ა შესახებ, რომ კონცერნციის მიწვევა ომის დასრულების გადადებულ იქნას. მოყვანილია იაზონის პასუხიც: იაზონია თანხმობას აცხადებს მიწვევაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ კონცერნცია არ შეეხოს მშვიდობის პირობებს და რუსეთ-იაზონის ომს.

* * * ცნ. ფურ. — ში ვკითხულობ: „როგორც ამას წინაღ აღენიშნეთ, ის დადგენილებანი, რომელიც ამერ-იმერეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურეებმა შემოიწვეეს ტფილისში მოხმადარ კრებაზე სამრევლო სკოლებში ახალ პროგრამის შემოღების შესახებ, ექსარხოხმა უწმ.სინოდს წარუდგინა დასამტკიცებლად. ამ ყამად ამ საქმის გადასაწყვეტად უწმ. სინოდმა გაიწვია პეტერბურგს სამრევლო საეკლესიო სკოლების ოლქის მეთვალყურე ვოსტორგოვი, რომელიც უკვე წასულა“.

სწორეთ ახირებული ამბავია. სკოლების მეთვალყურეებმა ვარდასწყვიტეს ახალი პროგრამა სკოლებისათვის და ექსარხოხმაც სინოდს წარუდგინა დასამტკიცებლად. ოლქის მეთვალყურეს რად დაიბარებდა სინოდი ამ წარდგინების დასამტკიცებლად? მისი აზრი წარდგინებაში ხომ ცხადად იყო გამოთქმული? ნუ თუ საჭირო იყო სინოდისთვის დეკლარაციის დაბარება მის დასამტკიცებლად. შესმის, რომ ქართული ენის კარგად მცოდნე როგორმე ქართველი ეპისკოპოსი დაეხარებიათ, თორემ ქართული ენის და საგნების სწავლების არა მცოდნე რუსი რა დახმარებას გაუწიეს უწმიდეს სინოდს ამ საქმეში?..

* * * საზოგადოდ უნდა ვსთქვათ გამოტეხილად რომ სამრევლო სკოლებში ამ უკანასკნელ დროს რაღაცა ვერ მიდის სწავლების საქმე კარგად.

* * * ცნობილ ფილიმონ წერეთლის შვილმა გრიგორიმ, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში იყო დარჩენილი დოცენტად მაგისტრობის ხარისხი მიიღო ბერძნული ენის სიტყვიერების და პალეოგრაფიის საგნებში და იურიეს ექსტრა ორდინარნი პროფესორად დაინიშნა. სამი შვილი ამავ წერეთლისა კაპიტანი პეტრე, შტაბს-კაპიტანი ივანე და პოდპორუჩიკი ზინობი შორეთლ-ილიოსავლეთში ომში არიან. სანდევ დავსწრენ დიდ ომებში და ღვთით ჯერეთ მშვიდობით არიან.

* * * ლონდონი, 20 დეკემბერი. იაზონის აქაურმა საელჩომ გამოაქვეყნა ტოკიოდან მიღებული დეპეშა. გენერალი ნოგი იუწყება, რომ მიღებულ იქნა გენერალ სტესელის წინადადება. იაზონელებს და რუსებს რწმუნებულთ ცალკე მოლაპარაკება ექნებათ ციხის გადაცემის წეს-რიგის და დროს შესახებოა“.

* * * ტოკიო, 20 დეკემბერი იაზონის იმპერატორის ბრძანებით, მარშალმა იამაგატამ დეპეშით აცნობა დღეს გენ. ნოგის: «მიკალო დიდათ აფასებს იმ თავგამოდებას და სამშობლოსათვის თავდადებას, რომელიც გენერალმა სტესელმა გამოიჩინა, ამიტომ ბრძანა ისეთი პატივი აღმოეჩინოს, როგორც ეკადრებაო.“

* * * ლონდონი, 20 დეკემბერი. იაზონის საელჩომ, გენერალ ნოგის მოხსენების თანახმად, გამოაცხადა, რომ ტუნკიან შინისა და „მ“-ის ფორტები თვითონ რუსებმა ააფეთქეს წუხელით. რუსის ყველა გემები, რომელნიც ნავთსადგურსა და იმის შესავალი იყვნენ, რუსებმა ააფეთქეს დღეს დილით. რადგან მოლაპარაკება დაიწყო, იაზონელებმა ბრძოლა შეაჩერეს.

* * * ჩიუუ, 20 დეკემბერი. დღეს, ნაშუადღევს 4 საათზე ნავთ-სადგურს ახლო იაზონის ნაღმიანი გემი და ერთი კრესიერი გაჩნდა. 3 ნაღმიანი გემი ნავთსადგურში შემოვიდა, მერე ისევ უკან დაბრუნდნენ და კრესიერსა და დანარჩენ ნაღმიან გემებს შეუერთდნენ. იაზონელები ნავთ-სადგურს ახლო დგანან. ელიან, რომ დაბინდების შემდეგ იაზონის გემები ნავთ-სადგურში შემოვლენო. იაზონის კონსული ყოველ წამს განკარგულებას ელის ტოკიოდან. რუსის ნაღმიან გემებს იარაღს აპყრიან. რუსის გემები «რასტორაზნი»-ს გვერდზე დადგნენ. პორტ-არტული დიდ განსაცდელშია.

* * * ტოკიო, 20 დეკემბერი. („რეიტერიჰ). იაზონელებმა გუშინ აიღეს შტურმით ფორტი ვანტაი-ნოგის მოხსენებაში ვანტაის აღების შესახებ ნათქვამია, იაზონელთა შუანა და მარცხნა კოლონებმა დილის 9 საათზე მიიტაცეს ვანტაიზე იგრილი და მარჯვედ ისარგებლეს თავის ყუმბარებისაგან მიყენებულ ზარალით. ჯარი მიესია სიმაგრეს და საბოლოოდ დაიჭრა იგი. იაზონელებმა შვიდი ზარბაზანი ჩივდეს ხელში. დამე რუსებმა მოულოდნელად დასტოვეს რამდენიმე სიმაგრე და დილას ააფეთქეს



პორტ არტურის ნათ-სადგურში გემების უმეტესი ნაწილი.

* * * ჩიუბუ. 20 დეკემბერი („რეიტერი“). პორტ-არტურიდან მოსულ ნაღმოსნების ეკიპაჟის სიტყვით, ციხის გარნიზონი ალყის შემორტყმის დღეს შესდგებოდა 35 ათას ჯარის კაცისაგან. ამათგან 11 ათასი მოკლეს, 16 ათასი თავს იკურნავს ჭრილობისაგან და ავადმყოფობისაგან გოსპიტალებში და 8 ათასი ყოველთვის ფორტებში იმყოფებოდნენ, ამათგანაც 2 ათასი კაცი უკვე დაშავდა.

* * * გაზეთების აზრით, პორტ-არტურის კაპიტულიაციის პირობები სულ-გარტყლობად უნდა ჩაითვალოს. როდესაც იმაზე ბჭობენ, თუ რა გავლენა შეუძლია იქონიოს პორტ-არტურის აღებამ შერიგებაზე, საზოგადოთ ყველა იმ აზრისაა, რომ ამ შემთხვევას შეუძლია მხოლოდ მიუახლოვოს შერიგების საქმეს.—„დელიი ტელეგრაფი“ ამბობს, რომ ვისმე შუამავლობა ჯერ საფიქრებელიც არ არის, თუ რომ ერთ ერთი მებრძოლთა მხარე ამას თითონ არ გვთხოვსო „გრაფიკი“ ამბობს: რომ მცირე რომ იყოს ის ინტერესი რისთვისაც ორივე მხარე იბრძვის, მაშინ რუსეთი შეიძლება დათანხმებულიყო და სიტყვა ჩამოეგდო იმ გვიარ შერიგების შესახებ, რომ რუსეთის ღირსება არ დამციკრებულიყო. მაგრამ რუსეთი მარტო პრესტეჟისთვის (სახელისთვის) არ იბრძვის, არამედ რუსეთის საქმე აღმოსავლეთ აზიაში საშუა მდგომარეობაში ჩავარდნილი და ამიტომაც არ შეიძლება ვისმეს ჩარევა მორიგების საქმეში.

* * * თანახმად იაპონელთაგან შედგენილ საოპარ კამანის გეგმისა, ფლოტი მთლად თავისუფლად უნდა იყოს, რათა ერთად იმოქმედონ ბრძოლის დროს, რომელსაც ამ ცოტა ხანში მოელოან. უმთავრესი მუხლები ამ გეგმისა არის—დაეცნენ ელადივოსტოკს, იერიში მიიტანონ და ალყა შემოარტყან ზღვიდან და ხმელეთიდან და ამავე დროს სახალინიც დაიჭირონ. თანამშველელი კრეისერები დაედგებიან ნახშირით დატვირთულ ტრანსპორტებს. იაპონელებს იმედი აქვთ აშკარად შეზღუდონ რუსის ფლოტის მოძრაობა.

რადამტისხაზან. ამ ნომერთან იგზავნება ჰატარა წიგნაკი „რჩეული სიტყვება“, გამგეჟულია ბ. იოსებ ლეჟავასკან მიძღვნილი ჩვენი ჟურნალის ხელის მომწყვლეებისთვის.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწრწმუნოებასა და კეთილზნებობაზე.

ახლად უმოხილ მრისხმს აკვანთან.

(სამბაზო მოთხრობა მოკვების თავგანსცემასზე)

IV.

ბრძენი შიდა ინდოეთიდან.

(გაგრძელება*)

ვეგიტელმა და ინდოელმა ერთი მეორეს გადახედეს: პირველმა ხელი ჩაიქნია, უკანასკნელმა თავი დაუქრა და დაიწყო:

—ჩვენი ძმა კი კარგად ამბობდა, მაგრამ ჩემი სიტყვებიც ასეთი ბრძნული იქნება!

ის შეჩერდა, ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე დაიწყო:

—ჩემი სახელი ძმებო მეღქიორია. მე ვსაუბრობ იმ საგანზედ, რომელიც თუ ყველაზე უფირფასესი არა, პირველი მაინცაა, საიდანაც წარმოსდგა მწერლობა. მე ვამბობ ინდოეთის სანსკრიტულ ენის თაობაზედ. მე თვითონ ინდოეთიდან ვარ. ჩემმა ვრმა იწყო პირველს ხანებში სიარული მეცნიერების ყანაში, პირველ მათ იღეს წილი მათზედ და მშვენიერადაც დაიმუშაკეს იგი. რაც უნდა მოხდეს ჩვენი ოთხი „ვედნონი“ მაინც იქნებიან ქვეყნად, ვინაიდან ისინი იყვნენ სარწმუნოებისა და სასარგებლო ცოდნათა წყარონი. იქილამაა გადმოღებული (უფაველი), რომელიც აუწყა ბრამამ ერს; იქია ტუსტანგი მედიცინაზე, ხუროთმოძღვრებაზე, მუსიკაზე და ჩ4 მექანიკურ ხელოვნებაზე; „ვულ-ანგი“ წმიდათაგან შთაგონებული ვარსკვლავთ-მრიცხველობაზე, სწორო-მეტყველობასა, პროსოდიასა, გამოთქმასა, მკითხაობასა, სარწმუნოების წესებზე და ცერემონიებზედ; „უფანგი“ ბრძენის ბიასოის მიერ დაწერი-

*) იხ. „მწეჟისი“ № 24, 1903 წ.



ლი, რომლისგან შეისწავლების კასმოგონია, წელთაღრიცხვა და მიწის აღწერა! იქაა აგრეთვე „რომა-თანა“ და „მალამბლარათა“, საკპრო პოეზიანი, რომელთა და ინშულდება ჩვენი ღმერთებისა და ნახევარღმერთებისა ქება-დიდება. ამისთანაა ძმებო უდიდესნი „შარტნი“ ან კურთხეულ სახსართა წიგნები. ისინი ჩემთვის აღარ არსებობენ ამ ჟამად, მაგრამ ყოველს დროს იქნებიან ჩემის ერის ახლად აყვავებულის გენიოსების გონების გაბრწყინების მასწავლებელი. აი აქედამ ამაღლდა ჩემი ერი. იქნებდა იგი თხოვრად გამართლდა მათში ის პირვანდელი ნიშან-წყალიო? მწერლები დაღაღებდნენ, რადგან ღმერთი თვითონვე მზოუნავდა ქვეყნიერებაზე, კაცს არაფერი დარჩენია საზრუნავი ახალის შესაძენადო. ეს რომ კანონად მიიღეს, მაშინ ინდოელთა გენიის მანათობელი ჩაემო ჰამო სადაც ის ყოველთვის ანათებდა იმის ვიწრო კედლებსა და მწარე წყალსა. ეს სიამპარტაუნის მიზეზი კი არ ყოფილა ძმებო როგორც თქვენ მიხედვით, როდესაც მე მოგახსენეთ რომ «მსატრები» ასწავლიან უზენაეს ღმერთზე მეთქი, ე. ი. „ბრამაზე“; ხოლო «უფანგი» მოგვითხრობს ჩვენ კეთილ საქმეზე და სულზე. ამნაირად თუ არ ეწეინება ჩემ ძმას (ამ დროს ინდოელმა ბერძენს თავი დაუტრა) ერთის საუკუნის წინათ სანამ ამის წინაპარებზე რაიმე ცნობა განჩნდებოდა ორი უდიდესი იდეები ღმერთზე და სულზე ინდოეთში უკვე დღეა გავრცელებული იყო. იმავე საღმრთო წერილშია სწავლა ბრამაზე, როგორც სამებაზე, სახელდობრივ ბრამა, ვიშნა და შივაზე. მათ შორის ბრამა, ამ წიგნების სიტყვებით, იყო მამათ-მთავარი ჩვენის ერისა, რომელიც ვაჟყო მან ოთხ კასტად. ყოვლის უწინარეს მან დედა-მიწა მოამზადა კაცთა სამყოფელად; შემდეგ წარმოსდგა იმის ბაგედან ბრამის კასტა, უზენაესი, უკეთილ-შობილესი, რომელიც იმის მსგავსი იყო, შესდგებოდა იგი ერთად-ერთის ვედლის მსწავლელებლთაგან. ისინი იყვნენ უფსრულებსნი. იმის სულიდან წარმოსდგა მეგრე შატრები, ანუ მხედრები; მისი გულიდან მწყემსნი, მიწის მუშაკნი, ვაჭარნი; უტუბიდან—მონანი, მსახურნი, მუშაკნი, ხელმასნი. ესეც უნდა იცოდეთ, რომ კანონი, რომელიც ჩვენთან ერთად გაჩნდა, ერთის კასტიდან მცირეში გარდასვლას გვიკრძალავდა. ბრამა თავს ვერ დაიძაბლებდა. თუ კანონს დაარღვევდა გარე-წარი გახდებოდა და ყველაფერს დაკარგავდა.

ამისთანა დამკირვებით ბერძენი აღელდა, თავი ველარ შეიმაგრა, არავის ყურადღება არ მიაქცია და წარმოსთქვა: „ასე რომ საქმე იქმნება ძმებო აი იქაა მაშინ საკპრო ღვთის სიყვარული“.

—ღიახ, მისთანა სიყვარული როგორც ჩვენა გვაქვს, დაუმატა გვიპოტელომა.

ინდოელმა წარბები შეიჭმუნა შეურაცხობის ნიშნად და, როდესაც მღელვარება დაწყნარდა, განაგრობა ცოტა დაბალის ხმით:

—მე ბრამინად დავიბადე და მაშასადამე ჩემი ცხოვრება უკანასკნელს საათამდე გაწეს-რიგებული იყო: რავარი საქმელი უნდა მიმეღო ან რა დანიშნულება ჰქონდა ჩემს რთულ სხეულსა; პირველად, როგორც კი დავიბადე, სამი ძაფი ჩამოკიდეს, რის გამო მე ერთი ორჯელ დავიბადე, პირველს კასტაში განმაწესეს ყველა ეს საღმრთო თექსტების კითხვით და ცერემონიით სრულდებოდა. მე ისე არ შემეძლო სიარული, სმა-ჰამა ანუ ძილი რომ რომელიმე წესიერების დარღვევის არ მშინებოდა. ორ-ნაირი სასჯელი მოელოდა მაშინ ჩემს სულს. დამნაშაობის მიხედვით ჩემი სული უნდა ასულიყო ერთს-ერთს ცაში, რომლებშიაც ერთი ძალიან დაბალი „ინდრის“ ცა იყო და ყველაზე მაღალი ბრამის ცა; ანუ კიდევ უკან უნდა გადავარდნილიყო, რომ შესულიყო რომელიმე ჰიის, ბუჰის, თევზის ანუ ცხოველის სიტყვალეში. ჯადოდო ვინც აღასრულებდა კანონს იყო სრული ნეტარება ანუ ხორც-შესხნა ბრამის არსებობასთან, რომელიც არსებობდა კი არა მოსვენებულ ჩაითვლებოდა.

აქ კიდევ უკლო მან ხმას და ხელები მაღა აღაპყრო.

ერთხელ ღამით დავსვირობდი ტბის პირად და უხბოდ ჩემს თავს დევუბნებოდი: „როდის მოვა ღმერთი და იფულებს-მეთქი? ნუთუ ხსნა არასითაა?“ უცებ წყალზე ციმციმი იწყო რაღაც სინათლემ. ჩქარა ვარსკვლავი ამოვიდა, წამოვიდა ჩემსკენ და ზედ ჩემს თავის სწორად გაჩერდა. იმის კაშკაშმა მე განმაცვიფრა, მიწაზე დავემხვე და მომესმა ხმა: „შენმა სიყვარულმა აჯობა. კურთხეულ ხარ შენ ძეო ინდოეთისაო! დადგა გამოხსნის დრო! შორეს ქვეყნიდან მოსულთ ორ პიერბთან ერთად შენ იხილავ მხსნელსა და შეიქნები მისის მოსვლის მოწამლ. აღსდგე დილით ადრე და შეხვდი მათ და ყოველი შენი ხარება დასდევ სულზე, რომელიც შენ გვიწი-



ნამძღვრებს“. ამ დღიდან ნათელი მე არ მცილდებოდა და მე ვგრძნობდი, რომ ეს იყო სული. დილით წამოვცელი ამ გზით და მოველ აქა. ერთის მთის ხევში ენახე მე არა ჩვეულებრივ, ძვირფასი ქვა, რამელიც პარღვალში ვიყიდე. ლაპა ოსით, ჯაბულთით და თვლით მე მოვფლი ისპაჰანში, იქ ვიყიდე აქლემი ღიქიდან წაველი ზაგდათში. ქარავანისთვის მე არ დამიკდია. მე უშიშრად მარტო ერთი ვიშოგზაურებდი, რადგან სული ჩემთან იყო და ესლაც არის. რა მიუწოდებელია ჩვენი დიდება ძმანო; ჩვენ უნდა ვიხილოთ მხსნელი, ვესაუბროთ მას და თაყვანი ვსცეთ. ესეც ჩემი ისტორია».

სადეთო ნიღოსის ნაწარებიდან.

V.

ბერძენი სიხარულმა აღტაცა და ეგვიპტელმა კი დარბაისლურად წარმოსთქვა:

— მომილოცავს შენთვის ძმაო. ბევრი ტანჯვა გამოვიცილა; მეც მიხარია შენი სიხარული. თუ გსურს ორთავს თქვენ ჩემი თავგადასავლის მოსმენა, ყური მიგდეთ და მე მოგიყვებით ჩემს ვინაობას და წოდებას. ცოტა მომითმინეთ.

ის გამოვიდა გარეთ და აქლემებს შეხედა. შემდეგ კარავში შემოვიდა და კვლავ თავისი ალაგი დაიკავა.

— თქვენი სიტყვები ძმებო სულისაგან იყვენ და ისივე სული შემძღვებინებს ესცნა მე ისინი. თვითვეული თქვენგანი ამბობდა განსაკუთრებით თვისს ქვეყანაზე; ამის მიზანს მე ესლავე განგიმარტავთ თქვენ: მაგრამ ესეც კია, ეს განმარტება რომ სრული გამოვიდეს ნება მიზოძეთ ვთქვით რამე მე ჩემს ერზე. მე ვარ ბალტასარი, ეგვიპტელი.

— მე შემეძლო ჩემის ერის მრავალი ღირსებანი ჩამომეთვალა, განაგრძო მან, მაგრამ ერთს რამეს ვიტყვი მხოლოდ, ჩვენიდან იწყება ისტორია. ჩვენ პირველი ერი ვიყავით და უკვდავ ვყავთ ჩვენი სახელი წერილებით. ამისათვის გარდმოცემანი ჩვენ არა გვაქვს და პოეზიის მაგიერად უტყუარ ფაქტებს მოგახსენებთ. სასახლეების წინა კარებზე და ტაძრებზე, ობელისკებზე, სასაფლაოების შიგნით კედლებზე ჩვენს მეფეთა სახელებსა და მათ ამბებს ვსწერდით: ნახს პაპირუსებს ვანდობდით ჩვენთა ფილოსოფოსთა სიბრძნესა და ჩვენის რელიგიის საიდუმლოებასა,

— ყველა საიდუმლოებს, გარდა ერთისა რომელზედაც ახლა მინდა განმბოთ თქვენ. პარაბრაშებზე უზანგი ბაისებზე უფროსი ვინ არის მეღქიორ; ჰომეროსის წერილებზე მეტი ანუ პლატონზე ოი ჰასპარ? ჩინეთის ერის მეფეთა საღვთო წერილებზე უფროსი, ანუ მშვენიერის მათის ძის სედარასის წიგნზე; ებრაელების მოსეს საქმეთა წიგნზე უფროსი, ერთის სიტყვით ყველა ერთა წერილებზე უძველესია მენესას, ჩვენის პირველის მეფის წერილებია.

ცოტა ხანს იგი შეჩერდა. მერე აღერსიანად მიაპყრო თვისი დიდბრნი თვალეში ბერძენს და უთხრა: «ეინ იყო ჰელადის სიტყაბუტეში, ჰასპარ მის მასწავლებელთა მასწავლებელი?»

ბერძენმა დიმილით თავი დაუყრა.

ამ წერილებიდან განაგრძო ბალტასარმა, ჩვენ ვიცით, რომ, როდესაც ჩვენი წინაპარნი მოვიდენ შორეულის აღმოსავლეთიდან, სამთა საღვთო მდინარეთა სამშობლოდან, დედა-მიწის შუა-გულიდან, ძველის ისანედან, რომელზედაც შენ მეუბნობდი მეღქიორ, — მოვიდენ და თან მოიტანეს ქვეყნის ისტორია წარღვნამდე და თვით წარღვნისაცა, როგორც გარდმოცემული იყო არიელებზე, ნოვეს შვილებზე და ასწავლიდენ ღმერთზე, შემოქმედზე და დაუსაბამოზე, აგრეთვე სულზე, უკვდავზე როგორც ღმერთთა. როდესაც ჩვენ წინა მდებარე მოვალეობა ბედნიერად სისრულეში მოვა, მაშინ, თუ ინებებთ, ჩემთან წამობრძანებას მე გაჩვენებთ თქვენ ქურუმთა წიგნთ-საცავსა; სხვათა შორის მიცვალებულთა წიგნსა, რომელშიაც აწერილია წესი სულიისაგან შესრულებული იმ დროს, როდესაც იგი უნდა წარსდგეს უმაღლეს სამსაჯულოში. თვით ღმერთზე წარმოდგენა, სულზე მოუღიდა მიცრიაშს უღაბნოზე, იმან მოიტანა იგი ნილოსის ნაპირზე. მაშინ იგი ადვილი გასაგები იყო, როგორც ადვილია ის, რასაც ღმერთი ჩვენს საბედნიეროდ დაადგენს; ასეთივე იყო პირველი ლოცვა და საგალობელი.

მაშინ ბერძენმა ხელი ხელს შამოჰკრა და წარმოსთქვა: «თან-და-თან ჩემი გული სინათლით აღივსო!»

— მეც ასე მომდის, სთქვა ინდოელმა.

ეგვიპტელმა მოწიწებით შეხედა მათ, და შემდეგ განაგრძო: უბრალოდ რომ ესთქვათ რელიგია არის კანონი, ღვთისა და კაცის შემაერთებელი; იქა ღმერთზე, სულზე ზე მათ დამოკიდებულებაზე ლაპარაკი;

იქიდან წარმოსდგება ცხოვრებაში ლოცვა, სიყვარული და ჯალდო. ეს კანონი, როგორც სხვა კანონი, მაგალითად დედამიწის და მზის შემაერთებელი, დასაბამიდან თვით კანონის მომცემმა აღასრულა. ამისთანა იყო ძმანო პირველი ოჯახის რელიგია; ამისთანა იყო რელიგია ჩვენის მამის მიცრაიმისა, რომელსაც არ შეიძლება რომ არ სცოდნოდა შექმნის ისტორია, რომელიც არსად ნათლად ისე არ იყო გარკვეული, როგორც პირველ სარწ-

მუნოებაში და უძველესს ღვთის-მსახურებაში. სისრულე ღმერთია. სისრულეა სადაც. წყევანი მდგომარეობენ მასში, რომ ერს არ მსურს დასტოვოს ეს ქეშპირიტებანი თვის პირველდელ სიწმიდებში.

(გაგრძელება იქნება)

მღ. კ. ანთაძე




თაყვანს სცემენ ახლად შობილ მაცხოვარს ბეთლემის მწყემსები.

ტროპარი.

კონდაკი.

შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწეინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავსა მსახურებენ, ვარსკვლავისაგან ისწავეს თაყვანისცემა შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწეინდი მალღით აღმოსავალთ, უფალო დიდება შენდა.

ქალწული დღეს არსებდ უზესთაესსა შობს ჩვენთვის, და ქვეყანა ქვაბსა შეუხებელისა შესწირენ, ანგელოსნი მწყემსთა თანა დიდებისმეტყველებენ; ხოლო მოგენი ვარსკვლავისთანა მოგზაურობენ, რამეთუ ჩვენთვის იშვა ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა ღმერთი.





სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნებათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

- კით. როდესაც მღვდელი ახლად მოსანათლავ ბავშს ემბაზში ჩაიყვანს მოსანათლავ ყრმას, აღმოსა-ღეთისკენ უნდა დასდგეს მღვდელი თუ დასავ-ლეთისაკენ?
- მივ. ერთი საითაც უნდა წარსდგეს.
- კით. მღვდელი რომ ახლად მოსანათლავ ყრმაზე შეფუცების ლოცვებს კითხულობს, ამ დროს მღვდელს მარტო ოღარი უნდა ქონდეს მიღე-ბული თუ ფილონი?
- მივ. საეპარსია მარტო ოღარი.
- კით. ემბაზში წყალი შეფუცების ლოცვების კითხვაში უნდა უნდა ჩაახან, თუ იმ დროს, როდესაც ნათელა დაიწყება ასამალღებელით ეკურთხეულ-არს მეუფება...?
- მივ. წყალი წინეთ უნდა იყოს მომზადებული.
- კით. ნათელას რომ დაიწყებს მღვდელი, ამ დროს ორივე სამკლავები (საზღვრები) უნდა ქონდეს გაკეთებული, თუ ერთი მხოლოდ მარჯვენა ხელზე, როგორც ამას ზოგიერთები შერებია?
- მივ. საზღვრები ორივე ხელზე უნდა ჰქონდეს.
- კით. სასიძოს და სასძლოს მღვდელი რომ ბეჭდებს მისცემს დადებული სიტყვების წარმოთქმით: „დაიწინდის მონა და მხევალი ღვთისა.“ სამჯერ უნდა გაიმეორა ორთავზე, თუ თითველზე სამსამჯერ, როგორც ამას ზოგიერთები ასრუ-ლებენ?
- მივ. როგორც ტიბიკონი უჩენს. იქვე სწერია კურ-თხევანში.
- კით. სიტყვები: გვირგვინოსან იქნების მონა ღვთისა და მხევალი ღვთისა, სამჯერ უნდა გაიმეოროს მღვდელმა საიდუმლო ქორწინებაში თუ ორ-ჯერ?

- მივ. გულ დასმით წაიკითხეთ კურთხევანის ტიბი-კონი ამაზე და ცხადთ გაიგებთ, რამდენჯერაც უნდა წარმოსთქვან.
- კით. ოცდა-რვა წელიწადი მედავითნეთ ვმსახურები, ორი წელიწადი მთავარ დიაკვნად მედავითნის ადგილზე და ხუთი წელ იწადი მედვლად ვემსახურები შტატის ადგილზე. მერგება თუ არა სრული პენსია?
- მივ. რამდენი ხანიც უნდა იმსახუროს კაცმა მედა-ვითნედ, თუ ხუთი წელიწადი უმსახურია შტა-ტის ადგილზე მედვლად მაინც ერგება სრული პენსია, ე. ი. ოცდა ათი თუმანი წელიწადში.
- კით. მე ვმსახურებდი 29 წელიწადი მედავითნეთ და სამი წელიწადი მედვლობაში. რამდენი მერგება პენსია?
- მივ. სრული პენსია გერგებათ თუ მედვლობაში იმსახურებთ კიდევ სამს წელს, მაგრამ თუ ჯე-როვანი მოწმობას აიღებთ, რომ სწეულობისა-გამო აღარ შეგიძლიათ სამსახური მაშინ სრულ პენსიას მოგცემენ 33 წლის სამსახურისათვის.
- კით. მეორე მედავითნეს არ ერგება პენსია?
- მივ. კარგად არ არის გარკვეული. წარდგინდა რამ-ღენიმე და მალე შეეცეკობთ რას გადასწყევტს უწმიდესი სინოდი.
- კით. აქვს თუ არა ნება მღვდელს თოფი ან სხვა რაიმე ამისთანა სასროლი იარაღი ექონიოს სახლში ავაზაკების თავზე დასხმის დროს თავის დასაცველად? დაისჯება თუ არა მღვდელი და რით დაისჯება თავზე დასხმის დროს თავის დასაცველად რომ შემოაკვდეს ავაზაკი?
- მივ. არც სამოქალაქო და არც საეკლესიო კანო-ნებში არა არის-რა ნათქვამი, იმის შესახებ, რომ მღვდელს აკრძალული ჰქონდეს სასროლი იარაღის ქონება თავის ოჯახში. აგრეთვე არა არის-რა ნათქვამი კანონებში, მღვდლის დასჯა-ზე იმისთვის რომ ავაზაკების თავზე დასხმის დროს თავის დაღვინების გამო ვინმე მოკლას. მა-გრამ წმიდა მამანების კანონთა როგორი გზი-თაც უნდა შეემთხვეს კაცის მოკვლა მას მაინც აეკრძალება მღვდელ მოქმედების ასრულება, არც ყოფილა შემთხვევა რომ უწმიდეს სინოდს ფიცხად არ დასრულებინებოდა გრიგორი ნოზელის მესამე კამონი. რომელიც სისხლის დამღვინება მღვდელს მღვდელთა მოქმედებას უკრ-ძალავს.



განცხადებ.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“ № X.

სურათიგანი დამატებით.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: საზღვარ გარეთ: მათის წლით 6 მანეთი. || მათის წლით 9 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისა თანვე 4 მან. და დანარჩენი 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვეური ჟურნალი

წელიწადი „მოაგბე“ მეფორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით 10 მ., ცალკე № 1 მან. საზღვარ გარეთ: 1 წლით — 13 მან., ცალკე — № 1 მ, 20 კ. ვინც „მოაგბე“ მთელად წლით გამოაწერს, სურათიგანა დამატებანი ღ ცნობის ფურცელი უფასოდ გაგზავნება მხოლოდ ქალაქ გარე გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისთანავე უნდა იქნას შემოტანილი

წლიური ფასის განაწილება: პირველად — 6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე — 3 მ., 1-ლ ავგისტომდე — დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემებისა, რომელსაც იწეროთ.)

როგორც ცნობის ფურცლის, ან „მოაგბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კისოტი

დარქვ სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნი ნიკოლოზ ავალი შვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ა დე ქსანდრე სარაჯი შვილის დახმარებით

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით) პრემიად დარიცხვულ

ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.

1905 წ. ხელის მომწერთ დაურევებათ ზარეული ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1905 წლას ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში

მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები, აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

ზრემის გასაცხვენად ტფილისს გარედ ხელის მომწერ-ლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის კარდა. გარდა ამისა „მოაგბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

„მასალაში საქართველოს იბორორისათვის“

პატონაშვილის დეით გიორგის ძისა და მის ძმების. ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოაგბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქას დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომი.

ადრესი: Тифлисъ въ редакцію „Моагбѣ“. Ц.побисъ Пурцели. 3—3

ახალი სამხაფვილო შურნალი

„ნაკადული“ სურათიგით

გამოიცქმ მდნარე წლივან და მოზრდად ერმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლივანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანვარიშუას 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე. შურნალის პარაგრაფმა

- 1) მოთხრობანი და ლექსები;
- 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა;
- 3) აღმოჩენათა ღ მოგონებათა ქრონიკა;
- 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები.
- 5) სათამაშოანი, გასართობი; რეზუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხ.;
- 6) პედაგოგიური წერილები;
- 7) მკითხველთა წერილები;
- 8) ფოსტის ყუთი და
- 9) განცხადებანი.

შურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემას დირს 5 მ. ცალ ცალკე 3 მანეთი.

გამომცემელი ჟურნალისა ან. ნიწო. ე. მოგზაურობილი.

რედაქტორები { ან. ილ. დ. პრისთავისა, ნიწო ნიწ. შურაბიშვილის.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარამ ივანეს ასულის დემურაისი. ნელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. ს.ზ.ო.გ.) კანცელარიაში ღ შურნალის აკტებთან. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редак. жур. „Накадули“

„მთილბა ხელის-მოწეა 1905 წლისათვის ოკ-
ვირეულ გამოცემათა ქართულს

XXII წ. „მწეებს“-ზე XXII წ.

დ

XX წ. რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე XX წ.

ქ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თვით «მწეებსი» 3 მ. 6 თვით «მწეებსი» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.
— ,, ორივე გამოცემაზე — ,, ორივე გამოცემაზე) მ.
მაზეთზე ხელის-მოწეა შეიძლება დაბა
ეგირაღაში რედაქციაში, თბაღისში წერა-კითხვის
გამაერელებელ საზოგადოების წიგნის მალაზაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის
შემოტანა მან ორივე ქურნალისთვის უნდა წარმო-
ადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ
ივლისს. მარტო „მწეებსი“-სთვის: პირველ იანვარს
ორი მან. და პირველ ივლისს ერთი მანეთი.

საფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები და თმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ს ე თ ა დ-
რედაქცია იმყოფება დ. ეგირაღაში რედაქ-
ტორის საკუთარ სახლში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრესით: Вь Квирилы, въ редакцію газеты и
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწეებსი“-სა, რომელ-
ნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კე-
თალოგი დრო-გამოშვებით ქურნალში და იბეჭდება
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

საქმანწვილო ნახსტაჟიანი უხრალი

„ჯეჯილი“

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ქურ-
ნალში ორი განყოფილება: ატარებისათვის და
მოზრდილთათვის.

„ჯეჯილიში“ მონაწიზეობას მიიღებენ, რო-
გორც კვლავ, ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.
რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ
დონისძიებას ხმარობს ქურნალის გასაუმჯობე-
სებლად.

რედაქცია ეცდება ხშირად ჩაურთოს „ჯეჯი-
ლის; ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და
აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიით სასა-
მოგნო და სასარგებლო წიგნაები.

ქურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის
საეპარქია და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევე-
ბისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხ-
ვათ.

ქურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით
ლირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.
ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კ.

სელის მოწერა მიიღება: ტფილისში — „წერა-კითხვის გამ.
საზოგადოების“ კანც. (Дворц. ул. д. Груз. Двор., № 101),
და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артил. ул. № 5).
ფოსტის თდრესი: Вь Тифлисъ, вь редакцію грузин.
дѣтскаго журнала „Джеджили“.

3 — 1

შ ი ნ ბ ა რ ს ი :

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან.—
ერის კაცის წერილი მღვდლის ცხოვრებისა და მსახურები
შესახებ, დ. ქეცეხიძე-ქუთაისელისა. — ძველი და ახალი შე-
ხედლება საერო პირთა სამღვდლოებაზე, მღ. სიმონ ჭუმ-
ბურიძის. — პორტ-არტურის აღება. — ბერი-კაცის ნაამბობი. —
ქურნალ-გაზეთებიანი. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიარება ქრისტიანობის სარწმუ-
ნოებას და კათილ-წმინოებაზე: ახლად შობილ ქრისტეს
აკანთან; (საშობაო მოთხრობა მოგვებთა თყუანისმცემლ-
ბაზე); მღ, კ. ანთაძის.

— საეკლე კითხვების განმარტება.
განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაშიძე
Дозволено цензурою Архимандрита Георгий 21 декабря 1904

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе

Типог. редакція журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилахвь обст. домъ.